საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 14 ნოემბერი. 2018 წ. №230 (8631) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყვეცა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



ჩვენ ვამბობთ ეს

მეორე ტურის დასრულებამდე ④

ყველს ნუ გამოვჭრით ერთმანეთს!

მერკელის ეპოქის დასასრული: რა იქნება მერე?

სერგეთი უარზეა!

დიპლომატიური „ინტრიგები“: რატომ გაიდიტანა ნორვეგიამ თავისი საელჩო ბაქოდან თბილისში

„ისრაელში მყოფი საქართველოს მოქალაქეების საყურადღებოდ!

საქართველოს საელჩო ისრაელში განცხადებას ავრცელებს და საქართველოს მოქალაქეებს აფრთხილებს:

„ისრაელში მყოფი საქართველოს მოქალაქეების საყურადღებოდ!

ისრაელის სახელმწიფოს სამხრეთ რეგიონში, განსაკუთრებით ღაზას სექტორის მიმდებარე ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში (აშქელონი, სდეროტი, აშდოდი, ნეტივოტი, ბერ შევა, ბეით კამა, კირიათ გატი) ვითარების ესკალაციის გათვალისწინებით, გთხოვთ, ყურადღებით ადევნოთ თვალყური განვითარებულ მოვლენებს და საჭიროების შემთხვევაში იმოქმედოთ ისრაელის საგანგებო მდგომარეობის სამსახურის წარმომადგენლების, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებისა და პოლიციის მითითებების შესაბამისად. შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საელჩოში მოქმედებს ცხელი ხაზი: +9723609-3206, +972526919092.“ — ნათქვამია საელჩოს განცხადებაში.

ევროკავშირის ელჩის გაფრთხილება

„ჩვენ კვლავ საკმაოდ ნეგატიურად ვუყურებთ განვითარებულ საარჩევნო კამპანიას. აღსანიშნავია, რომ ეს საპრეზიდენტო კანდიდატების არჩევანია. მიუღებელია სიძულვილის ენა და ის მუქარები, რაც სხვადასხვა მიმართულებიდან და საპრეზიდენტო კანდიდატების მიმართ ისმის. იმედი მაქვს, გამოძიებულ იქნება ყველა ეს ფაქტი“, — განაცხადა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში კარლ ჰარცელმა.



ბერნარდ შოუ

„სიცილი ჩემი მახვილია, ჩემი ფარი და ლახვარია“

⑤

დღის მოწოდება

მეტი და მეტი ყურადღება ხალხის გულისხმას!

მართალი რომ ითქვას, ყველა გაოცებულია მეორე ტურის წინ რუსთაველის გამზირზე უკმაყოფილო ადამიანების თავშეყრით, რასაც ხელისუფლებისთვის სუნთქვის შეკვრის მიზნით კრიჭაში ავად ჩამდგარი ეგრეთ წოდებული ოპოზიცია, სინამდვილეში კი რამდენიმე ფრონტად გაშლილი „ნაციონალები“ სათავისოდ იყენებენ და თანაც, როგორ და რა დონეზე!

გასაგებია... უფრო სწორად, გაუგებარია, რატომ ეძებენ შვილმოკლული მამები ამდენი ხნის მანძილზე სამართალს?! რატომ ვაძლევთ შენიღბულ თუ შეუნიღბავ წარსულისკენ მაცქერალთ კიდევ ერთი „მხილების“ საბაბს?! სანამ კიდევ რამდენიმე დღეღაა დარჩენილი მეორე ტურამდე, ნამდვილად დროა, მთავრობამ ან პროკურატურამ გამოაქვეყნოს საგანგებო განცხადება და ხალხს აუხსნან, განუმარტონ, რა ხდება! რა საკითხების გადაწყვეტას ითხოვს შვილმოკლული სარალიძე, ამჟამად ვინ არიან დაკავებულნი და კიდევ ვინ არიან დასაკავებელნი, როდისთვის დაადგება ამ საქმეს საშველი. იგივე შეეხება მაჩალიკაშვილს. საზოგადოება გაუგებრობაშია, რა მოხდა პანკისის ხეობაში, ვინ მოკლა ნამძინარევი თემირლანი, მართლა თავს იცავდა, როგორც ტერორისტი, თუ უპასუხისმგებლო სამართალდამცავის დაუდევრობის შედეგად დატრიალდა საშინელი ტრაგედია?!

აი, ყველაფერ ამას სასწრაფოდ უნდა გაეცეს პასუხი საგანგებო განცხადების სახით!

ბინადრობის უფლება მკაცრდება:

სარგებელი თუ ქარის წისქვილებთან ბრძოლა? ③

დიდი წინაპრის კვალდაკვალ

გაუათასდეს ბარაქა, ვინც სიკეთისთვის ირჯება... ⑨

100 წლის გაზეთი

თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

ჩვენ სრულად უზრუნველვყოფთ ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვას ჰააგაში

საქართველო სრულად უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვას ამ პროცესში — ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა და თითოეული შესაბამისი ორგანო არის ჩართული ამ საქმეში, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ჰააგის სასამართლოში საქართველო-რუსეთის დავასთან დაკავშირებით განუცხადა.

„ჩვენ გვქონდა კონსულტაციები აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და საქართველო სრულად უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვას ამ პროცესში. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა და თითოეული შესაბამისი ორგანო არის ჩართული ამ საქმეში“, — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

რაც შეეხება საკითხთან დაკავშირებით, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, პარლამენტში საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრების დაბარებას, პარლამენტის თავმჯდომარე ამის საჭიროებას ვერ ხედავს.

„თუ ამ ინიციატივის საფუძველი არის ის სპეკულაციები, რომელიც არის დაგეგმილი რუსი პიარტექნოლოგების მიერ, ბუნებრივია, ამ საჭიროებას ვერ ვხედავ. არ შეიძლება სპეკულაციები ისეთ თემაზე, რომელიც უკავშირდება ჩვენს საერთო ეროვნულ ინტერესებს. სამწუხაროდ, ოპოზიცია ამითაც გამოირჩევა ამ წინასაარჩევნო პროცესში, ისევე, როგორც ზოგადად, რომ ის სპეკულირებს ისეთ თემებზეც კი, რომელიც არის დაკავშირებული ჩვენს საერთო ეროვნულ ინტერესებთან“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ნაცმოძრაობა დესტაბილიზაციით და რევოლუციით იმუქრება

„ნაცმოძრაობის“ ლიდერები პირდაპირ საუბრობენ იმაზე, რომ დაგეგმილი აქვთ რევოლუციური სცენარი, თუმცა, ვიცით, რომ მათ ჰქონდათ ასეთი სცენარები 2016 წელს, სხვა დროსაც, თუმცა, ისინი, საქართველოში დესტაბილიზაციას და რევოლუციას ვერ ეღირსებიან, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განუცხადა.

მისი თქმით, ეს იკვეთება ყველაფრიდან, ეს იკვეთება კონკრეტულად „ნაცმოძრაობის“ ლიდერების და მათი რუსი პიარტექნოლოგების ფრაზებიდან.

„პირდაპირ საუბრობდა, მაგალითად, რუსი შკლიაროვი იმაზე, რომ მზადდება რევოლუცია. ასევე, საუბრობდა სააკაშვილი იმაზე, რომ თუ ხელისუფლებას სურს რევოლუცია, მიიღებს რევოლუციას. პირდაპირ საუბრობენ „ნაცმოძრაობის“ ლიდერები იმაზე, რომ მათ აქვთ დაგეგმილი რევოლუციური სცენარი, თუმცა, ვიცით, რომ მათ ჰქონდათ ასეთი სცენარები 2016 წელს, სხვა დროსაც, თუმცა, ისინი, ბუნებრივია, საქართველოში დესტაბილიზაციას და რევოლუციას ვერ ეღირსებიან. ისინი ამ ყველაფერზე ღიად საუბრობენ — ეს არის ყველაზე ნათელი მტკიცებულება. რა თქმა უნდა, არის სხვა ინფორმაციაც, რომლიც არის დაკავშირებული რევოლუციურ სცენართან. რიტორიკა პირდაპირ აქეთ არის მიმართული. მე ყველას მინდა, მოვუწოდო, არ აყვნენ არავითარი ფორმის პროვოკაციებს „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან“, — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

„შიშის სინდრომი არსებობს...საფრთხე რეალურია“

გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები დესტაბილიზაციაზე განპირობებულია იმ განცხადებებით, რასაც ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატი აკეთებს.

„გრიგოლ ვაშაძე პირდაპირ ამბობს, რომ კონსტიტუცია არაფერ შუაშია და როგორც კი საშუალება მიეცემა, საზოგადოების მობილიზაციას და სახელისუფლებო სტრუქტურებთან დაპირისპირებას მოახდენს. მისი რუსული პიარბრიგადა პირდაპირ აცხადებს, რომ რევოლუცია იქნება. ვაშაძემ გადააჭარბა და ახლა პიარტექნოლოგები ცდილობენ, ეს გადაჭარბება რაღაცნაირად შეარბილონ და ჩრდილქვეშ მოაქციონ. მუქარა აშკარაა, რომლისაც სახელმწიფოს არ ეშინია, მაგრამ საზოგადოებაში დაპირისპირებისა და შიშის პოტენციალი არსებობს. ანალიზი აჩვენებს, რომ დესტაბილიზაციის საფრთხე რეალურია და არა იმიტომ, რომ შკლიაროვია ჩამოსული ან ვაშაძეა რუსული ნომენკლატურა. მთავარი თემა არის ის, რომ საქართველოს მიმართ საერთაშორისო დაინტერესებაა, ამერიკისა და ევროპელი ლიდერების ვიზიტები, სატრანზიტო რესურსში ჩინეთის დაინტერესება რუსეთს გარკვეულ დისკომფორტს უქმნის და ვაშაძის მივლინება-მოვლინების მთავარი თემაც ესაა. მხოლოდ განცხადებებით არ შემოიფარგლებიან, ეს დაყრდნობილია გარკვეულ გეგმაზე. ბრტყელ-ბრტყელი წამოძახებები არაფერ შუაშია, სიღრმისეულად უნდა დაინახოთ, რასთან გვაქვს საქმე“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

პოლიტიკური ნიშნით გაგვათავისუფლეს...

თბილისის მასშტაბით ოთხი საბავშო ბაღის დირექტორი გაათავისუფლეს. თავად დირექტორების ნაწილი აცხადებს, რომ ისინი პოლიტიკური ნიშნით არიან გათავისუფლებულები, მათ უარი განაცხადეს მმართველი გუნდის მხარდამჭერ აქტივობაში ჩართვაზე.

ბაღების სააგენტო აღნიშნულს არ უკავშირებს პოლიტიკას და აცხადებს, რომ დირექტორების ნაწილი სხვადასხვა დარღვევების გამო იქნენ გათავისუფლებულნი.

ბავშვების კვების რაციონის ხარჯზე გადაცდომები და ღალატი არავის ეპატიება

თბილისის მერის კახა კალაძის თქმით, ბაღების ნაწილის დირექტორთა გათავისუფლების საკითხის პოლიტიზირება არასწორია.

„სამწუხაროდ, ყველაფრის პოლიტიზირება ხდება ქვეყანაში. სააგენტო ყოველთვის ახორციელებს ბაღების შემოწმებას, ეს ახლა არ დაწყებულა და ამის ვალდებულება გვაქვს. ადრეც ვსაუბრობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ ჩვენ არავის ვაპატიებთ გადაცდომას, განსაკუთრებით იქ, სადაც საუბარია პატარებზე, ბავშვებზე. ბავშვების კვების რაციონის ხარჯზე გადაცდომები და ღალატი არ ეპატიება არავის“, — განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, ამ ამბის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირება ძალიან დიდი ტყუილია. მისივე თქმით, შემოწმებები სისტემატურად მიმდინარეობს.

„სისტემაში დაახლოებით 24 ათასი ადამიანი მუშაობს და ჩემი დაპირება იყო მუნიციპალური სერვისების განვითარება და ხელმისაწვდომობა. ჩვენ მთელი რიგი მიმართულებებით ჯერ ჯიდევ გვაქვს პრობლემები, თუმცა ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ეს ყველაფერი მოწესრიგდეს“, — აღნიშნა კალაძემ.

რუსეთმა დეზინფორმაცია გაავრცელა ლუგარის ლაბორატორიის შესახებ

BBC-ის ჟურნალისტის სტივ როზენბერგის საგამოძიებო ფილმმა დაადგინა, რომ რუსული მედია და მაღალჩინოსნები საქართველოში მდებარე, აშშ-ის მიერ დაფინანსებული ლუგარის ლაბორატორიის შესახებ დეზინფორმაციას ავრცელებდნენ.

რუსეთს საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო და სახელისუფლებო მედია ამტკიცებდნენ, რომ ლაბორატორიაში საქართველოს მოქალაქეებს გადაუმოწმებელი პრეპარატები გადაეცათ, რის შედეგადაც მათი ნაწილი დაიღუპა.

აღსანიშნავია, რომ ამ ე.წ. რუსული ნარატივის ერთ-ერთი მთავარი წყარო საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე იყო, რომელიც რუსულ მედიასთან ინტერვიუებში აცხადებდა, რომ ლუგარის ლაბორატორიაში, გარდა იმისა, რომ ადამიანებზე ექსპერიმენტებს ატარებდნენ, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის დამზადებაზეც მუშაობდნენ. იგორ გიორგაძე თავის განცხადებებში ასევე აღნიშნავდა, რომ ლუგარის ლაბორატორია საფრთხეს უქმნიდა რეგიონს და მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ.

აშშ მოუწოდებდა რუსეთს, შეეწყვიტა დეზინფორმაციის გავრცელება, რომელიც, სავარაუდოდ, სოლსბერიში მომხდარი ინციდენტიდან საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების გადატანას ისახავდა მიზნად.

საგამოძიებო ფილმის მომზადებისას, ჟურნალისტი სტივ როზენბერგი იმყოფებოდა თბილისში, ლუგარის ლაბორატორიასა და მოსკოვში. ის შეხვდა იგორ გიორგაძეს და ინტერვიუ ჩაწერა მასთან. ჟურნალისტის კითხვაზე არის თუ არა ლუგართან დაკავშირებული საკითხები დეზინფორმაცია, გიორგაძემ უპასუხა, რომ არ იცის.



BBC-ის ჟურნალისტის მიერ მომზადებულმა საგამოძიებო ფილმმა კიდევ ერთხელ მოჰფინა ნათელი ლუგარის ლაბორატორიის საქმიანობას და რუსული დეზინფორმაციის უსაფუძვლობას.

ლუგარის ლაბორატორიის შესახებ დეზინფორმაციის გავრცელება რუსული პროპაგანდის ნაწილია

„ყველამ ვიცით, რომ ლუგარის ლაბორატორია არის დაკავებული კონკრეტული საქმეებით, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს იმასთან, რაზეც საუბრობენ რუსი პიარტექნოლოგები. ეს არის რუსული პროპაგანდის შემადგენელი ნაწილი“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ.

მსჯავრდებული ფირცხალავა სამოქალაქო კლინიკაში გადაიყვანეს

ირაკლი ფირცხალავას სამოქალაქო კლინიკაში ნაღვლის ბუშტის ოპერაციის მიზნით გადაყვანასთან დაკავშირებით სპეციალური პენიტენციური სამსახური განცხადებას ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, მსჯავრდებულ ირაკლი ფირცხალავას 2016 წელს დაესვა დიაგნოზი, ნაღველკენჭოვანი დაავადება ქრონიკული ქოლეცესტიტი, არტერიული ჰიპერტენზია და მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში შესაბამისი მკურნალობა უტარდებოდა. კერძოდ, მსჯავრდებული ღებულობდა სპაზმოლიტიკებს, ფერმენტულ პრეპარატებს, ტკივილგამაყუჩებლებსა და წნევის საწინააღმდეგო საშუალებებს.

„პატიმრობაში მყოფი პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პოლიტიკური სპეკულაციების თავიდან ასაცილებლად, სპეციალური პენიტენციური სამსახური წინამდებარე განცხადებას ავრცელებს:

მსჯავრდებულ ირაკლი ფირცხალავას 2016 წელს დაესვა დიაგნოზი, ნაღველკენჭოვანი დაავადება ქრონიკული ქოლეცესტიტი, არტერიული ჰიპერტენზია და მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში შესაბამისი მკურნალობა უტარდებოდა. კერძოდ, მსჯავრდებული ღებულობდა სპაზმოლიტიკებს, ფერმენტულ პრეპარატებს, ტკივილგამაყუჩებლებსა და წნევის საწინააღმდეგო საშუალებებს. მიმდინარე წლის 29 აგვისტოს მსჯავრდებულს სპეციალისტის კონსულტაცია და ექოსკოპიური გამოკვლევა ჩაუტარდა. ექოსკოპიური გამოკვლევისას ნაღვლის ბუშტში მრავლობითი კონკრემენტები (მაქსიმალური ზომა 10მმ, მინიმალური — 6 მმ) დაუდგინდა. დაისვა დიაგნოზი — ნაღველკენჭოვანი დაავადება ქრონიკული ქოლეცესტიტი, ეროზიული გასტროდუოდენიტი. 25 სექტემბერსა და 13 ნოემბერს ირაკლი ფირცხალავას განმეორებითი ექოსკოპიური გამოკვლევა ჩაუტარდა, რის შედეგადაც იგივე სურათი გამოიკვეთა.

მსჯავრდებული უჩივის საერთო სისუსტეს, გულისრევის შეგრძნებას, უმადობას, ტკივილს ნაღვლის ბუშტის არეში, აღენიშნება წონაში კლება. ქირურგის რეკომენდაციით დაინიშნა ოპერაცია, რისთვისაც პენიტენციური სამსახურის მედპერსონალმა მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანა მიიჩნია საჭიროდ. შესაბამისად, თავად მსჯავრდებულის თანხმობით მოხდა მისი გადაყვანა სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებაში ნაღვლის ბუშტზე ოპერაციის ჩასატარებლად“, — ნათქვამია განცხადებაში.

ბინადრობის უფლება მკაცრდება:

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს მეორე მოსმენით დაუჭირა მხარი. ცვლილებები საქართველოში ბინადრობის უფლების მოპოვების გამკაცრებას ითვალისწინებს. ამავე დღეს ცვლილებათა პაკეტის მხარდაჭერისკენ პარლამენტს დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მოუწოდა. თუმცა რა აუცილებლობით იყო განპირობებული კალაძის მხრიდან საგანგებო მიმართვის ორგანიზება, უცნობია. და ამან რიგ კომენტატორებს გაუჩინა ეჭვი, საკითხის საარჩევნო თემასთან შესაძლო ბმისა და რიგ ჯგუფებზე ზემოქმედების მოხდენის მცდელობის თაობაზე.

რას ითვალისწინებს ცვლილებათა პაკეტი

როგორც კანონმდებლები განმარტავენ, კანონპროექტი საინვესტიციო, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვისათვის და 35 კატეგორიის ვიზის გაცემის საფუძვლების ცვლილებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, არეგულირებს საინვესტიციო, მოკლევადიანი და მუდმივი ბინადრობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს.კერძოდ:

იმისთვის, რომ უცხოელმა ერთწლიანი ბინადრობის მოწმობა აიღოს, უნდა შეიძინოს უძრავი ქონება, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 100 ათასი დოლარის ეკვივალენტს ლარში, ნაცვლად 35 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტისა;

უცხოელს შრომითი ბინადრობის ნებართვის აღება შეეძლება იმ შემთხვევაში, თუ ის დასაქმებულია ისეთ კომპანიაში, რომელსაც აქვს არანაკლებ 50 ათასი ლარის ბრუნვა ერთ დასაქმებულ უცხოელზე. ასევე, განისაზღვრება მინიმალური ანაზღაურება თითოეული დასაქმებულისთვის და თუ შეწყდა შრომითი ურთიერთობა, კომპანიამ აუცილებლად, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს იუსტიციის სამინისტროს იმისთვის, რომ გაუქმდეს შრომის ბინადრობის ნებართვა;

საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა გაიცემა უცხოელზე, თუ მან საქართველოში განახორციელა არანაკლებ 300 000 აშშ დოლარის ინვესტიცია, ნაცვლად 300 000 ლარისა;

მუდმივი ბინადრობის ნებართვის აღების მსურველ უცხოელზე ასეთი **ნებართვა თავიდან მხოლოდ 5 წლის ვადით გაიცემა,** ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირი ყოველწლიურად წარმოადგენს 120 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარში ბრუნვის დამადასტურებელ დოკუმენტს;

საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელს, რომელსაც 5 წლის განმავლობაში უდასტურდება ყოველწლიური არანაკლებ 120 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ბრუნვა და ამავე დროს, შენარჩუნებული აქვს 300 ათასი აშშ დოლარის ინვესტირება, შეეძლება აიღოს მუდმივი ბინადრობის ნებართვა.

ცვლილებების ეკონომიკური სარგებელი

EUGBS-ის ხელმძღვანელის **სანდრო ჟუმბურიძის** შეფასებით, **„ქვეყანას ყველაზე მეტად სწორედ ამ პერიოდში სჭირდება ინვესტიციები, რათა ეკონომიკა განვითარდეს“.**

„ხედავთ რა ვითარებაა, ლარის კურსი რა მდგომარეობაშია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველა კარი გავხსნათ, ყველაფრის უფლება მივცეთ ადამიანებს, ბიზნესმენებს, რომ მარტივად, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დაიწყონ ბიზნესაქტივობა“.

Hotels & Preference Hualing-ის გენერალური მენეჯერი

უცხოელისთვის მხოლოდ ტურისტული ვიზა იყო საჭირო, ბოლო პერიოდში, ჩემს მაგალითზე გეტყვით, რომ ვითარება შეცვლილია. ამ შეზღუდვებს შესაძლოა, გარკვეული გაუგებრობა მოჰყვეს და მოკლევადიან პერიოდში ნეგატიური ეფექტი იქონიოს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებლად მოიტანს დადებით შედეგს, რადგან მსგავსი პოლიტიკის გატარება აქტუალური და აპრობირებული მეთოდია მთელს ევროპაში“.

სარგებელი თუ ქარის წისქვილებთან ბრძოლა?

პიტერ ლილვიკი ფიქრობს, რომ ცვლილებები გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნისთვის სარგებლის მომტანი იქნება:

„ევროპის ყველა ქვეყანამ გაამკაცრა კანონი რეზისტენტების მიღებასთან დაკავშირებით. ლოგიკურია, რომ საქართველოც შესაბამისი ღონისძიებების გატარებას გეგმავს. თუ ადრე საქართველოში ჩამოსასვლელად და დასარჩენად

უსაფრთხოება თუ ქარის წისქვილებთან ჭიდილი?

„საკითხზე მსჯელობისას აპელირება ძირითადად უსაფრთხოების ინტერესებზე ხდება, თუმცა რამდენად არის ეს არგუმენტირებული, მეორე საკითხია. წარმოსადგენია დეტალური დასაბუთება – ქვეყანაში მთლიანობაში რა იცვლება? გვაქვს სარგებელი, თუ უბრალოდ, თხა ვიყიდეთ და თხა გავყიდეთ ვარიანტია? როდესაც ვიღებთ გადაწყვეტილებას, უარს ვამბობთ რაღაცებზე – ადამიანების შემოსვლაზე, გახსნილობაზე, ეს რაიმეს უნდა გვაძლევდეს“, – ამბობს „აქცენტთან“ საუბრისას საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტი **გიორგი გობრონიძე**.

„არსებობენ ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ ირანელებმა იყიდეს ყველაფერი, თუმცა სტატისტიკა საპირისპიროზე მეტყველებს: რეალურად, უცხოელებზე გაყიდული უძრავი ქონების მხოლოდ 2% შეიძინეს ირანის მოქალაქეებმა და არა 90%, როგორც ამაზე პოპულისტები საუბრობენ. იმავენაირად ხდება აქცენტირება გათურქების ჰიპოთეტურ საფრთხეზე და ა.შ. **შევხედოთ, ვინ ახდენს ამ თემის გასაფრთხევებას: ისევ და ისევ პოპულისტი ჯგუფები, რომლებიც სადღაც ხელოვნურ პრობლემებს ეძებენ.** ეს დაახლოებით იგივეა, რომ ვთქვათ, „ვეშაპები საფრთხეს უქმნიან შავი ზღვის ცოცხალ მრავალფეროვნებასო“ და ვეშაპებზე ნადირობა ლეგალური გავხადოთ. მართალია, შავ ზღვაში ვეშაპს არ უარსებია, მაგრამ ხალხი ხომ შეშინდება?“, – ამბობს გობრონიძე.

კიდევ ერთი საკითხი, რასთანაც ბინადრობის უფლების თემას აკავშირებენ, საქართველოს ევროინტეგრაციაა.

„საკითხს რატომღაც განიხილავენ ევროინტეგრაციის კონტექსტში – „არ შემოვიდეს აქ ხალხი, შემდეგ ქვეყანა არ გამოიყენონ ტრანზიტადო“. მე ვერ ვხედები, **ბინადრობის უფლება, რომელიც მოქალაქეობის მინიჭებას არ გულისხმობს, რა კავშირშია საქართველოს ევროინტეგრაციასთან.** ჩვენი ინტეგრაციისთვის გაცილებით კარგი იქნებოდა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვა ტიპის ცვლილებების გატარება: ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება“, – ამბობს ანალიტიკოსი და ასკვნის, რომ საკითხის პარლამენტში ინიცირება, როგორც შემდეგ თემაზე აქცენტირება გათვლილია საზოგადოების სწორედ იმ ნაწილზე, „რომელსაც სჯერა, ან დააჯერეს, რომ ეს ყველაფერი რეალურად საფრთხეა“, – ამბობს „აქცენტთან“ საუბრისას ანალიტიკოსი.

ამასთან, როგორც გობრონიძე აღნიშნავს, ქვეყნის პოლიტიკური ელიტა საარჩევნო ხმების მობილიზების მიზნით არასწორი მიმართულებით მოძრაობს:

„აქ სამწუხარო ისაა, რომ არა მხოლოდ ხელისუფლება, სტრატეგიული ოპოზიციაც კი ამ მიმართულებით წავიდა. ორივე მხარე ამაზე თამაშობს, რაც ცოტა საასაცილოა, ერთმანეთს ასწრებენ განცხადებების გაკეთებას. საბოლოო ჯამში, ეს წარმოქმნის სურათს, რომ, სამწუხაროდ, ქვეყანაში არც ერთ პოლიტიკურ ელიტას საზოგადოებისთვის კონკრეტული ხედვის შეთავაზება არ შეუძლია, სანაცვლოდ, სთავაზობენ ქარის წისქვილებთან ბრძოლას“.

რომელი ქვეყნების მოქალაქეებს სურთ საქართველოში ბინადრობის უფლების მიღება

მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისიის მონაცემებით, **ბოლო 5 წლის განმავლობაში ქვეყანაში უცხოელების მიერ საკუთრების გაფორმების 37 024 შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთაგან 53%-ში ახალი მფლობელები რუსეთის მოქალქეები გახდნენ. 5-5% მოდის უკრაინის, სომხეთის და აზერბაიჯანის მოქალაქეებზე, 4% – ისრაელის, 3-3 % – აშშ-ის და საბერძნეთის, ხოლო 2-2% – გერმანიის, ირანის, ერაყის და თურქეთის მოქალაქეებზე.**

ამასთან, 2015-2016 წლებში საქართველოში ბინადრობის მოწმობა 46 581 უცხოელზე გაიცა, თუმცა შემთხვევების უმრავლესობაში ეს ქვეყანაში მუშაობის უფლებას უკავშირდება: **შრომითი მიგრანტების წილი მთლიან რაოდენობაში 41%–ს შეადგენს** და ამ მხრივ პირველ სამეულში **თურქეთი, ინდოეთი** და **ჩინეთი** მოხვდნენ.

საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად გადმოსვლის მსურველთა რაოდენობა 19% შეადგენს. ძირითადში მთხოვნელები არიან რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოქალაქეები. კიდევ **16%-ს შეადგენენ სტუდენტები ინდოეთიდან, ერაყიდან, ნიგერიიდან** და სხვა ქვეყნებიდან. **9%-ს** კი ბინადრობის მოწმობები ოჯახების გაერთიანების მიზნით აქვს აღებული და ამ მხრივ პირველ სამეულში **თურქეთი, ირანი** და **აზერბაიჯანი** შედიან.

პირველი ქართული რესტორანი ცათამბჯენში

დუბაიში, ცენტრალურ ნაწილში სასტუმრო სოფიტელის ბოლო, 31-ე სართულზე ქართული რესტორანი „მოდი დუბაი“ გაიხსნა, რომელშიც მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. დუბაიში ერთადერთი ქართული რესტორანი 150 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. როგორც „კომერსანტს“ „მოდი დუბაის“ დამფუძნებელმა **გია ნაცვლიშვილმა** განუცხადა, რესტორანში მხოლოდ ქართული სამზარეულოა წარმოდგენილი და იქ მისულ სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ ისეთი კერძები დააგემოვნონ როგორიცაა – ხინკალი, საცივი, ხაჭაპური, ბადრიჯანი ნიგვზით, ლობიო, შქმერული, აჯიკა, ტყემალი და ჩურჩხელა. კვების პროდუქტები დუბაიში საქართველოდან ჩადის, რადგან გია ნაცვლიშვილის თქმით, ქართულ პროდუქტს ადგილობრივზე განსხვავებული გემური თვისებები აქვს.

რესტორნის ძირითადი სტუმრები – რუსები, უკრაინელები, არაბები, ფრანგები და ქართველები არიან, ხოლო მათთვის გამორჩეული კერძი ხშირ შემთხვევაში ხინკალი და ხაჭაპურია. ალკოჰოლური სასმელებიდან კი ყველაზე დიდი პოპულარობით, საფერავი, ქინძმარაული და ხვანჭკარა სარგებლობს. რაც შეეხება „მოდი დუბაის“ საფასო პოლიტიკას, ის ადგილობრივ ბაზარზე საშუალო და მაღალშემოსავლიან სეგმენტზეა გათვლილი.

„კომერსანტი“: რესტორნის დუბაიში გახსნა რატომ გადაწყვიტეთ?

გია ნაცვლიშვილი: ხშირად მიწევდა დუბაიში სხვადასხვა რესტორნებში ბიზნესშეხვედრების გამართვა და აღმოვაჩინე, რომ ქართული რესტორანი არსად არ იყო. დუბაი მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი ფინანსური ცენტრია და კომერციულად ეს ადგილი საინტერესოა, ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის კულტურა დუბაიში მოთხოვნადია. იქ დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი ჩვენ კულტურას და სამზარეულოს კარგად იცნობს. ჩვენი რესტორანი ორი თვის თავზე პოპულარულია და უკვე ერთგული მომხმარებლებიც გვყავს. პრაქტიკულად აქ მოსულ სტუმარს საქართველოს ვახვედრებთ. „მოდი დუბაიში“ 24 ქართველია დასაქმებული და მისი შემადგენლობა სრულად ქართულია.

რაც შეეხება ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციას, ბიზნესმენის განცხადებით, დუბაიში დაახლოებით 5 000 საუკეთესო ქვეყნის რესტორანი არსებობს და კონკურენციაც შესაბამისად დიდია.

რაც შეეხება რესტორნის სამომავლო გეგმებს, გია ნაცვლიშვილის განცხადებით, „მოდი დუბაის“ ანალოგი 2019 წელს მონაკოში გაიხსნება და რამდენიმე თვეში, ახალი წლის პერიოდის შემდგომ, პროექტზე მუშაობის პროცესიც დაიწყება.

გია ნაცვლიშვილი უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენია, რომელიც ამ ეტაპზე საქართველოში აღარ საქმიანობს. მისი საქმიანობა – დუბაიში, უკრაინასა და ეგვიპტეში გრძელდება.

ლიკა გურაბანიძე

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ!

ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐ�პᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ॥ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲐ, ᲐᲠᲪ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲔᲚᲨᲘ ᲙᲕᲔᲠᲜᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲩᲐᲤᲠᲔᲜᲘᲚᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲘᲧᲝᲡᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲒᲐᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲮᲚᲔᲩᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲗᲔᲠᲛᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲞᲜᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲜᲓᲘᲧᲘᲡ ᲬᲕᲔᲗᲔᲑᲘ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲨᲔᲮᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲔᲠᲗ, ᲣᲡᲐᲨᲕᲔᲚᲝᲓ ᲢᲝᲥᲡᲘᲙᲣᲠ ᲜᲐᲙᲐᲓᲐᲓ ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲐ.

ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ ᲡᲐᲓ ᲬᲐᲣᲮᲕᲐᲚ!

ᲘᲡᲘᲪ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲘᲧᲝ, ᲒᲣᲨᲘᲜ ᲕᲘᲗᲝᲛ ᲡᲐᲛᲙᲕᲓᲠᲝ-ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲓ ᲬᲐᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲨᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲘ�გᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ (ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ) ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲨᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲠᲝᲛ ᲙᲣᲭᲘᲡ ᲬᲕᲔᲜᲡ ᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲘᲗ.

ᲒᲘᲒᲘᲪ ᲮᲝᲛ ᲘᲥ ᲘᲧᲝ, ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ, ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚ ᲛᲘᲨᲐᲡ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲠᲝᲛ ᲡᲣᲚ ᲯᲐᲠᲗᲘ ᲣᲫᲐᲮᲐ, ᲘᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲣᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲓᲐ ᲡᲐᲮᲔ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲔᲜᲘᲨᲜᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲐᲓ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲐᲦᲐᲪᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲔᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲐ. ᲐᲙᲘ ᲐᲛᲝᲘᲤᲔᲠᲗᲮᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲒᲘᲒᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲛ ᲒᲣᲚᲘ, ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲗᲝᲗ.

„ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲨᲘ“ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲑᲐᲜᲒᲕᲐ ᲐᲠ ᲣᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲘᲐ (ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲛᲐ�გᲐᲗᲘ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲗ ᲛᲝᲡᲕᲚᲐ 2003-ᲨᲘ!).

ᲓᲐ ᲐᲘ, ᲣᲙᲐᲜ ᲛᲝᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲢᲠᲝᲙᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲠᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲘᲪᲘᲚᲐ 2012 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲡᲐᲫᲣᲚᲒᲔᲚ ᲠᲔᲟᲘᲛᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲕᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲧᲚᲐ�პᲐ ᲔᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ, ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ „ᲒᲐᲕᲮᲐᲓᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ“, ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛ�პᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲚᲝ�გᲐᲜᲘᲡ — „ᲒᲐᲕᲮᲐᲓᲝᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲬᲐᲑᲐᲫᲕᲘᲗ.

ᲘᲥ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲚ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲐᲓ, ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ 61-ᲛᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲛᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲮᲛᲐ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲡ.

ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ „ᲒᲣᲚᲛᲐᲕᲘᲬᲧᲝᲑᲡ“ ᲛᲘᲨᲐ, „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲕᲮᲐᲓᲝᲗ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ“, ᲐᲜᲣ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲡᲔᲗᲘᲝᲛ. ᲛᲔᲠᲔᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲰᲔᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ?

ᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ.

ᲐᲮᲚᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ:

ᲛᲘᲨᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲘᲐᲖᲠᲔᲑᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ.

ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲐᲛᲘᲗ ᲠᲐ ᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲔᲡ „ᲛᲝᲐᲖᲠᲔᲑᲐ“ ᲘᲛᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲐᲛ „ᲙᲕᲚᲐᲕ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲠᲘ�გᲘᲗ ᲙᲐᲚᲐᲗᲝᲖᲐᲓ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ ᲗᲐᲕᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ.

ᲘᲡᲔ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲜᲐᲪᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲡᲫᲘᲜᲐᲕᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ.

ᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛᲐᲪ. ᲢᲧᲣᲘᲚᲐᲓ ᲡᲐᲧᲕᲔᲓᲣᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ: ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲓᲐᲘᲙᲐᲠ�გᲐ, ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡᲝ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲜᲐᲡ ᲮᲛᲝ ᲐᲠ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡᲝ.

�გᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ! ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲐᲢᲝᲪᲗᲐᲜ ᲠᲣᲡᲛᲐ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲠᲣᲛ „ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ“ ᲛᲐᲒᲗᲣᲚᲮᲚᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲘᲯᲕᲜᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ, ᲛᲝᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲨᲔᲣᲔᲠᲗᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲪᲐ ᲰᲙᲘᲗᲮᲔᲡ, „ᲐᲥ ᲠᲐ ᲜᲐᲛᲣᲡᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲮᲕᲔᲓᲘᲝ“, Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ, ᲛᲔ ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲓᲔᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲝ ᲮᲐᲖᲘᲡ ᲛᲝᲨᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲔᲠᲗᲝᲛᲑ ᲖᲣᲡᲢᲘ, ᲛᲝᲠᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲐ ᲐᲠᲐᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲚᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘᲪ ᲙᲘ.

ᲝᲚᲝᲜᲓ ᲔᲡ ᲙᲘᲐ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲡᲐᲚᲝᲛᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲔᲠᲗᲝᲛᲑ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲔᲜ ᲛᲣᲥᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ. ᲔᲡ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲛᲝᲣᲗᲛᲔᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲛᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲝᲣ�წᲝᲓᲐ.

ᲒᲐᲭᲠᲘᲡ?

ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲢᲔᲠᲘ!

ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲐᲛ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲩᲕᲔᲜᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲓᲐ: ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲙᲚᲐᲕᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲡ, ᲮᲕᲐᲚ ᲕᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲝᲡ, ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲚᲘ ᲠᲝᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲑᲔᲕᲠᲘᲐᲝ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ, ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲗ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲑᲔᲕᲠᲘᲐ.

ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲔᲠᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲭᲘᲠᲑᲝᲠᲝᲢᲝᲡ — ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲔᲗᲔᲡᲚᲐ ᲔᲡ ᲛᲐᲮᲘᲜᲯᲘ ᲙᲝᲰᲐᲑᲘᲢᲐᲪᲘᲐᲝ, ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ „ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ“ ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲘᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ: ᲙᲝᲰᲐᲑᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ — ᲫᲛᲔᲑᲛᲐ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲐᲒᲓᲔᲡ ᲓᲐ, ᲠᲥᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲢᲔᲮᲘᲚᲔᲡ, ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ ᲗᲐᲕᲡ ᲫᲐᲚᲘᲡᲫᲐᲚᲐᲓ ᲛᲝᲐᲮᲕᲘᲔᲡᲝ.

ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ! ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲚᲘ ᲠᲝᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲑᲔᲕᲠᲘᲐᲝ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ, ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲗ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲑᲔᲕᲠᲘᲐ.

ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲔᲠᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲭᲘᲠᲑᲝᲠᲝᲢᲝᲡ — ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲔᲗᲔᲡᲚᲐ ᲔᲡ ᲛᲐᲮᲘᲜᲯᲘ ᲙᲝᲰᲐᲑᲘᲢᲐᲪᲘᲐᲝ, ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ „ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ“ ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲘᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ: ᲙᲝᲰᲐᲑᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ — ᲫᲛᲔᲑᲛᲐ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲐᲒᲓᲔᲡ ᲓᲐ, ᲠᲥᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲢᲔᲮᲘᲚᲔᲡ, ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲛᲐᲚᲘ ᲣᲤᲠᲝᲛᲔᲢᲘᲡᲘᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲔᲡ, ᲠᲐᲒᲘᲜᲓ ᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲘᲒᲘ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲙᲣᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲑᲛᲔᲚᲐᲓ.

ᲠᲐᲦᲐᲪ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲰᲒᲐᲕᲡ, ᲝᲚᲝᲜᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ! ᲠᲝᲒᲝᲠ ᲗᲣ ᲗᲐᲕᲡ ᲛᲝᲐᲮᲕᲘᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲗᲣ ᲠᲥᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲔᲡ! „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲨᲚᲝᲓᲐᲗ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲮᲘᲤᲐᲗᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲔᲡ ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲝ�გᲝᲜᲘᲚᲘ ᲙᲝᲰᲐᲑᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲡ ᲠᲥᲔᲑᲘ ᲫᲘᲠᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲛᲖᲠᲘᲐᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲛᲐᲛᲫᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲐᲮᲚᲐ, ᲐᲛ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝᲓ ᲒᲐᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲮᲚᲔᲩᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲗᲔᲠᲛᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲞᲜᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲜᲓᲘᲧᲘᲡ ᲬᲕᲔᲗᲔᲑᲘ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲨᲔᲮᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲔᲠᲗ, ᲣᲡᲐᲨᲕᲔᲚᲝᲓ ᲢᲝᲥᲡᲘᲙᲣᲠ ᲜᲐᲙᲐᲓᲐᲓ ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲐ.

ᲨᲔᲡᲐᲓᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲫᲣᲫᲣᲡ ᲓᲐᲬᲐᲤᲔᲑᲣᲚᲘ „ᲔᲕᲠᲝ�პᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ ᲐᲕᲘᲦᲝᲗ. ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲘ�გᲔᲑᲘ ᲒᲝᲠᲔᲚᲛᲐ ᲖᲕᲘᲐᲓ ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲫᲔᲛ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ, ᲐᲠ ᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲠᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ? ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲡᲐᲑᲐᲜᲐᲫᲔᲛ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲔᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲔᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ�გᲐᲜ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲗᲮᲝᲣᲚᲝᲑᲓᲐᲝ(!).

ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲖᲕᲘᲐᲓᲘ ᲙᲘ „ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲡ“ ᲓᲐ „ᲛᲒᲝᲜᲘᲡ“ ᲐᲠ ᲘᲨᲕᲔᲚᲘᲔᲑᲡ, ᲛᲝᲭᲠᲘᲚᲐᲓ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, „ᲔᲕᲠᲝ�პᲣᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲨᲔᲛᲝᲕᲬᲧᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲦᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲕᲐᲨᲐᲫᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ Უ

„სიკვდილ ჩემი მახსოვს, ჩემი თვალი და ლახვარი“



ასე ამბობდა ბერნარდ შოუ

ქართულად გადმოაქენა გურამ გოგიაშვილმა

ლიტერატურაზე

წიგნები ბევრს იგებენ, თუ არ კითხულობენ. თუნდაც ჩვენს კლასიკოსთ გაადევნეთ თვალი.

* * *

რომორი საქმეა, მკვდარი მატერიისგან – ძონძმანძებისგან და სასტამბო საღებავისგან სწავლობდე ცოცხალ გრძნობებსა და ცოცხალ აზრებს!

* * *

პოპულარული რომანების სამყარო სამოთხეა ბრიყვთათვის.

* * *

დავიწყე იმის კითხვა, დიდი სიამოვნებით წავიკითხე ოცდაათამდე გვერდი და უცებ მივხვდი, რომ ამ სულისკვეთებით ავტორს შეეძლო უსასრულობამდე გაგრძელება და არ იყო ისეთი რამ ძალა, რაც ხელს შეუშლიდა წერაში.

* * *

დამარწმუნებლობა – აი სტილის ალფა და ომეგა. ვისაც არცრაში ძალუძს დარწმუნება, არა აქვს სტილი და ვერც ვერასოდეს ვერ შეიძენს იმას; ვისაც დასარწმუნებელი რამ აქვს, ის იმ სტილისტურ სიმაღლეთ მიაღწევს, იმისივე რწმენა-მრწამსის სიმტკიცესა და სიღრმეს რომ შეესაბამებიან.

* * *

რაღა სტილი და რაღა ცხვირი: ორ ერთნაირს ტყუილად დაუწყებთ ძებნას.

* * *

მწერლობაში ასეა: ახალგედა ესწრაფვის რაგინდარა ფასად სამწერლობო ენის დაუფლებას, უფრო მეტად გამოცდილი კი – ამ ხუნდ-ბორკილისგან გათავისუფლებას.

* * *

მხოლოდ იმას ძალუძს სუყოველ ხალხსა და სუყოველ დროებაზე წერა, ვინც თავის თავსა და თავის დროზე წერს.

* * *

ბიოგრაფიას რომ კითხულობთ, არ იგულმავიწყოთ, რომ სიმართლე არცროდის არ ვარგა გამოსაქვეყნებლად.

* * *

ხანისად რომანი იმდენად კარგია მეტისმეტად, რომ დასაბეჭდად გეაფსუსება.

* * *

ყოვლის უარესი ის არის, რომ ადამიანი უმეტესწილად თავს ისეთად წარმოიდგენს ხოლმე გუნებაში, როგორსაც წიგნებში აღწერენ, ბოლოს და ბოლოს ის მართლად მიიჩნევს იმ ცრუ წარმოდგენას, რასაც თავზე ლიტერატურა ახვევს, და მერმე ის ამ ცრუ წარმოდგენისდა მიხედვით იქცევა ცხოვრებაში.

* * *

კითხვამ დონ კიხოტი გაარაინდა, წაკითხულის რწმენამ კი გააგიჟა.

* * *

უმეცრებისკენ მიმავალი გზა მოკირწყლულია მდიდრული გამოცემებით.

* * *

აბრე იქცევიან საერთოდ პოეტები. თავიანთ თავს ხმამაღლა ელაპარაკებიან, ქვეყანა კი მიყურადებულია.

* * *

უშვერობასა თუ უწმაწურობას რაგინდარა წიგნში წაიწყდები, ტელეფონების წიგნის გამოკლებით.

დრამატურგიასა და თეატრზე

კალმის გენიოსმა და აფორიზმთა დიდოსტატმა ბერნარდ შოუმ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ინგლისის ეროვნული თეატრის განვითარებაში. აღორძინების ხანაში უაღრესად ფრთებგაშლილმა ინგლისურმა დრამამ ახალი მწვერვალები მხოლოდ შოუს მოსვლით დალაშქრა.

* * *

როგორც ჰ.ჯ. უელსი ამტკიცებს, ერთი წიგნის დაწერა – თავისი ცხოვრების წიგნის დაწერა – შეუძლია ყველას, ყველას ძალუძს აგრეთვე ერთი პიესის დაწერაც, რომელ პიესაშიც ის ანგარიშს გაუსწორებს თავის ცოლს.

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №225-229



რა დანიშნულება აქვს დრამატურგს? თუ მხოლოდ „ბუნების წინ უჭირავს სარკე“, მაშინ იმ დრამატურგის ცხოვრებისეული ხედვა ემსგავსება პოსტზე მდგომი პოლიმენის ხედვას.

* * *

მე მადანაშაულებდნენ, „შენი პიესების გმირები, ლაპარაკით ლაპარაკობენ, მაგრამ არც არაფერს არ აკეთებენო“, და ამ სიტყვებში იმას გულისხმობდნენ, რომ ისინი, ჩემი გმირები, სისხლის სამართლის დანაშაულებს არ სჩადიან.

* * *

პიესები ქმნიან თეატრს და არა თეატრი ქმნის პიესებს.

* * *

ნამდვილად რომ წარმოიდგინო, თუ რამდენად ცუდი შეიძლება რომ იყვეს პოპულარული პიესა, საჭიროა ორჯერ ნახვა.

* * *

საგოლოო ანგარიშით მსახიობები იღებენ ავტორებს, ავტორები კი – მსახიობებს, რომელნიც იმათ დაიმსახურეს.

* * *

ადამიანები, რომლებიც სიყვარულისთვის ყველაფერს სწირავენ, სცენაზე ისევე უიმედოდ არაგმირულნი არიან, როგორც რომ გიჟები და ნარკომანები. გმირები, რომლებიც საუკუნეებში ცოცხლობენ, ჰექტორი და ჰამლეტია, და არა, პარისი და ანტონიუსი.

* * *

პიესის ხარისხი იმისივე იდეის ხარისხია.

* * *

კრიტიკოსნი, როგორც სხვა ადამიანები, იმას ხედავენ, რასაც ეძებენ, და არა იმას, რაც თვალწინ უძევთ.

* * *

თეატრი იმაზე არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვიდრე ეკლესია შუა საუკუნეებში და მევრად უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე ეკლესია ჩვენს დროში. თეატრი ის ადგილია, რომელიც აერთიანებს ადამიანთ. თეატრალური მემკვიდრეობითობა ესქილედან მოკიდებული ჩემამდე, იმდენადვე უთუმცაო და წმინდაა, რამდენადაც დროის მიხედვით მევრად ახალგაზრდა სამოციქულო მადლის გადაცემის ქრისტიანული ტრადიცია.

* * *

მსახიობსა და ავტორს შორის ურთიერთდამოკიდებულება დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ხუროსა ანდა კალატოზსა და ხუროთმოძღვარს შორის. სავალდებულო არ არის იმათ საერთო ჩანაფიქრი ესმოდეთ, ამის გამო თავიანთ სამუშაოს ისინი უკეთ ვერ შეასრულებენ.

* * *

ერთი მოყვარული მსახიობი ქალის თაობაზე: განსაკუთრებულ შიშს იწვევს ის გარემოება, რომ იგი აგრერიგად სანდომიანია თავის ამჟამინდელ განუვითარებელ მდგომარეობაში. რამპის შუქში იმისი სანდომიანობისა და კეთილსახიერების ნატამალიც არა დარჩება და თვითონ მოუხდება თავისი თავის ხელახლა შექმნა, თავისი ინდივიდუალობის ახლად აგება, საძირკვლიდან დაწყება, იმის მაგივრად, რომ გარაბადიდან ჩამოხსნას უკვე გამზადებული, ბუნებისგან ნაბოძები.

* * *

მსახიობთა წრეში აღზრდილი ბავშვები მსახიობურ ჩვევებს ავლენენ, რასაც საქმეში ჩაუხედავნი უტყუარ ნიჭიერებად მიუჩნევენ.

* * *

თუ კონფლიქტი არ არის, არ არის არც დრამა. მეტოქე სცენაზეც შეიძლება რომ იყვეს და სცენის გარეთაც, კულისებშიც, მაგრამ აუცილებლად უნდა იყვეს დრამაში.

* * *

დიდი მსახიობები თავიანთი თამაშით ისე ამზადებენ კულმინაციურ მომენტს, რომ, როგორც კი ის დგება, თუ აღარც ითამაშებენ, არც არაფერი არ დაშავდება: მაყურებელზე ზემოქმედებს უკვე თვით სცენის დრამატიზმი, თუმცა ისინი (მსახიობები) კვლავინდებურად დარწმუნებულნი არიან, რომ ვნებათა უდიდესმა აზავთებამ სულ ერთიანად მოიცვა.

* * *

სუყოველი გამოცდილი მოგზაური შეგულისხმებულია,



რომ რა უხვადაც არ უნდა მიაგონ გასამრჯელო, მსახურს მაინც ბეზრდებიან ისინი, უკეთუ სასტუმროში დიდხანს ჩერდებიან, იმის მაგივრად, რომ ერთი დღით შეიარონ და თავიანთი გზა განაგრძონ ტურისტთა მსგავსად. ესეგვარია სასტუმროს მსახურის, ბევრი მსახიობისა და საოპერო მომღერლის ფსიქოლოგია. სოლისტები არცროდის არა მღერიან ისე ყურადღებით ანდა თუნდ თითქმის ისევე ყურადღებით, როგორც მაშინ, როცა ისინი თავიანთ პარტიას პირველად ასრულებდნენ მღელვარებისგან გულაფანცქალებულნი.

* * *

რეჟისორული მუშაობა შეუთავსებელია სამსახიობო მუშაობასთან: მსახიობი ჩავარდება, უკეთუ თავის პარტნიორებს კრიტიკულად დაუწყებს ცქერას.

* * *

როცა ჰენრი ირვინგს, იმ დროის კარგა გვარიანად დიდ მსახიობს, იმოწმებდნენ როგორც ფრიად ავტორიტეტულ თეატრალურ სპეციალისტს, მე ვამბობდი, არც ერთმა მავანმა არ იცის ლონდონის თეატრალურ ცხოვრებაზე ირვინგზე ნაკლები-მეთქი, რამეთუ ყოველ საღამოს იგი ერთი და იმავე თეატრის სცენაზე ადის.

* * *

თუ რეჟისორმა თავის ბლოკნოტში ჩაიწერა: „ამ სცენაში ვაჩვენოთ კერკეგორის გავლენა იმსენზე“ ანდა: „ამ ადგილას ნათლად უნდა იგრძნობოდეს ოიდიპოსის კომპლექსი. განვიხილოთ დედოფალთან“, – რაც უფრო მალე მივაგზრძანებთ იმას თეატრიდან და სხვით შევცვლით, მით უკეთესი.

ხოლო თუ იმან ჩაიწერა: „ყურები ნამეტანი წითელია“, „კიდევ უფრო დავიხიოთ, რათა X ჩანდეს“, „კონტრასტი!“, „შევცვალოთ ტემში: ანდანტე“, „ლედისთვის არ ვარგა: მუხლების მიტყუპება“, „ეს დიალოგი უფრო უნდა გრძელი იყვეს, რათა მ-ს წასვლის დრო მიეცეს“, და ამისთანანი, – მაშასადამე, რეჟისორმა იცის თავისი საქმე და ადგილი.

* * *

არასოდეს არ მიუთითოთ იმ შეცდომებზე, თუ არ იცით, როგორ უნდა გამოასწოროთ ისინი (რჩევა რეჟისორს).

* * *

როს ბუნება ადამიანს ნამდვილ მსახიობად მოავლენს, თანაც ჩვეულებრივ სრულყოფილებისთვის იმით აგულიანებს, რომ უშნოსა და აუტანელს ტოვებს მანამდე, სანამ ბუნებისავე წინასწარ განზრახული არ შესრულდება. თუმცა, ალბათ, აქაც შესაძლებელია გამონაკლისი – ყველაფერში, აუტანლობის გარდა, ჩემი ვარაუდით.

* * *

„ჰო“-ს თქმის ორმოცდაათი ხერხია, ხოლო „არა“-სი – ხუთასი და ამის დაწერის მარტო ერთია ხერხი.

* * *

დრამატული თეატრის დასში ოთხი მთავარი ხმა უნდა იყვეს: სოპრანო, კონტრალტო, ტენორი და ბანი.

* * *

ტექსტს მე ყურში ჩაგიჩურჩულებ, შენ კი სიმღერასავით უბრალოდ სმენით დაიმახსოვრებ. ასე უნდა ვიზეპირებდეთ სუყოველ როლს: ჩემს იდეალურ დასში არც ერთი წიგნიერი მსახიობი არ იქნება (ელენ ტერისთვის გაგზავნილი წერილი).

* * *

მსახიობმა ანბანში ისე უნდა ივარჯიშოს, რომ მაყურებლის წინაშე ერთი შეწყობილი ხმით შეძლოს კედელში ლურსმნის ბოლომდე ჩარჭობა.

* * *

რამპის შუქში ქალები ცის ჭექა-ქუხილსავით მანცვიფრებენ. მე უკვე წესად ვაქციე მხოლოდ შეუღებავი და ძალიან უბრალოდ ჩაცმულთა შეყვარება. მცირედად გულის გატეხის იმედით.

* * *

მსახიობმა ფორტ-რობერტსონმა სცენაზე იმ კაცის შესახედაობა შეინარჩუნა, რომელიც თითქოს უსიამოვნო რამ ამბის გულისთვის ფრიად მნიშვნელოვან საქმეს მოწყვიტეს.

* * *

ზუსტი, უტყუარი ტონი სუსტი ვერ იქნება.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს ააიპ – ბოლნური ღვინოს მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ბოლნისი

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაცია

განაცხადის №1533/06
განაცხადის შეტანის თარიღი: 2018/07/19
ადგილწარმოშობის დასახელება: ბოლნისი
საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია: ღვინო
განმცხადებლის სახელი და მისამართი: ააიპ – ბოლნური ღვინო
დავით აღმაშენებლის ქ. №44, ბოლნისი, საქართველო

1. დასახელება: ბოლნისი

2. დამატებითი აღნიშვნები

3. ტიპი, ფერი და ძირითადი მოთხოვნები
„ბოლნისი“ – მშრალი ღვინოა, რომელიც შეიძლება იყოს თეთრი, ქარვისფერი, წითელი და ვარდისფერი.

„ბოლნისი“ თეთრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- ფერი – ღია ჩალისფერი;
- გემო და არომატი – უზადო, გემოზე ნაზი, რბილი, ჰარმონიული, ხალისიანი, დახვეწილი, ამ გეოგრაფიული ადგილისთვის დამახასიათებელი ჯიშური არომატით, მინდვრის ყვავილების ტონებით, დავარგებისას ღვინოს უვითარდება მკვეთრად გამოხატული ბუკეტი ხილის ტონებით.
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 11 %-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 16 გ/ლ-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4 გ/ლ-ს;
- ტიტრული მჟავიანობა, ღვინომჟავაზე გადაანგარიშებით, არ უნდა იყოს 4 გ/ლ-ზე ნაკლები;
- სხვა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

„ბოლნისი“ წითელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- ფერი – მუქი წითელი;
- არომატი და გემო – უზადო, გემოზე სავსე, ვაჟკაცური, ექსტრაქტული, ხავერდოვანი, ჰარმონიული, ამ გეოგრაფიული ადგილისთვის დამახასიათებელი ჯიშური არომატით, დავარგებისას უვითარდება მკვეთრად გამოხატული ბუკეტი ხილის ტონებით;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა – არ უნდა იყოს 11 %-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 22 გ/ლ-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4 გ/ლ-ს;
- ტიტრული მჟავიანობა, ღვინომჟავაზე გადაანგარიშებით, არ უნდა იყოს 4 გ/ლ-ზე ნაკლები;
- სხვა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

„ბოლნისი“ ვარდისფერი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- ფერი – ვარდისფერი;
- არომატი და გემო – უზადო, გემოზე ნაზი, რბილი, ჰარმონიული, ხალისიანი, დახვეწილი, ამ გეოგრაფიული ადგილისთვის დამახასიათებელი ჯიშური არომატით, მინდვრის ყვავილების ტონებით;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა – არ უნდა იყოს 11 %-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 16 გ/ლ-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4 გ/ლ-ს;
- ტიტრული მჟავიანობა, ღვინომჟავაზე გადაანგარიშებით, არ უნდა იყოს 4 გ/ლ-ზე ნაკლები;
- სხვა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

„ბოლნისი“ ქარვისფერი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- ფერი – მუქი ქარვისფერიდან ჩაისფრამდე;
- გემო და არომატი – რთული, კარგად გამოხატული ჯიშური არომატით ხილის ტონებით, სხეულიანი, ენერგიული, ექსტრაქტული, ხავერდოვანი კარგად განვითარებული ბუკეტით;

მისი ტიპიურობა, ძირითადად, განპირობებულია ზომიერი სიმწკლარტით;
- ღვინის ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 12,0 %-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია – არანაკლებ 22 გ/ლ;
- შაქრიანობა – არაუმეტეს 4 გ/ლ;
- ტიტრული მჟავიანობა, ღვინომჟავაზე გადაანგარიშებით – არანაკლებ 4 გ/ლ;

სხვა მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4. წარმოების გეოგრაფიული ადგილი და ზონები
ბოლნისის მიკროზონა მდებარეობს ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში. ბოლნისის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილში, ზღვის დონიდან 570 მ. სიმაღლეზე, მდინარე მაშავერასა და მდინარე ხრამის აუზებში. იგი მოიცავს საკმაოდ დიდ ტერიტორიას, რომელიც მოქცეულია ჩრდილო განედის 40^0 10Ე – 41^0 45Ე და აღმოსავლეთ გრძედის 43^0 28Ე – 44^0 45Ე შორის. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება ქვემო ქართლის ვაკე (მარნეულის რაიონი), დასავლეთით – ჯავახეთის ვულკანური ზეგანი (დმანისის რაიონი), ჩრდილოეთით – ხრამის ხეობა (თეთრიწყაროს რაიონი), ხოლო სამხრეთით – ლოქის ქედი (სომხეთის მთიანი მხარე).

ბოლნისის მიკროზონა მოიცავს ქ. ბოლნისსა და სოფლებს: რატევანი, ხატისოფელი, რაჭისუბანი, სავანეთი, ტალავერი, ქვემო არქევანი, სამტრედო, ჭაპალა, ზვარეთი, სოფელი ბოლნისი, ქვეში, მუშევანი, აკაურთა, დისველი, ქვემო ბოლნისი, სამწევრისი, ნახიდური, ცურტავი, ფარიზი, დაბა თამარისი, ვანათი, კიანეთი, მამხუტი.

5. ვაზის ჯიშები
„ბოლნისი“ თეთრი და ქარვისფერი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ბოლნისის მიკროზონაში მოწეული რქაწითელის, ჩინურის და გორული მწვანეს ჯიშის ყურძნისაგან.

„ბოლნისი“ წითელი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ბოლნისის მიკროზონაში მოწეული საფერავის, თავკვერის, შავკაპიტოს და ასურეთული შავის ჯიშის ყურძნიდან.

„ბოლნისი“ ვარდისფერი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ბოლნისის მიკროზონაში მოწეული ფერადყურძნიანი ვაზის საღვინე ჯიშების გადამუშავებით, წითელი ყურძნის დურდოზე თეთრი ყურძნის ტკბილის დადუღებით ან თეთრი და წითელი ღვინოების შერევით.

არ არის ნებადართული ღვინო „ბოლნისის“ დამზადებისას ზემოთ ჩამოთვლილი ყურძნის ჯიშების გარდა სხვა ჯიშების გამოყენება.

6. ვენახის გაშენება, სხვლა-ფორმირება და მოვლა
- ბოლნისის მიკროზონაში ღვინო „ბოლნისისათვის“ განკუთვნილი სამეწარმეო ვენახები გაშენებული უნდა იყოს ზღვის დონიდან 500-800 მ სიმაღლეზე;
- ვენახის რიგთაშორის მანძილი უნდა იყოს 1,8-დან - 2,5 მეტრამდე;
- ვაზთა შორის მანძილი რიგში – 1-1,5 მ.;
- შტამბის სიმაღლე – 0,5 – 0,8 მ.;
- სხვლის ფორმა – ცალმხრივი ან ორმხრივი ქართული, ცალმხრივი ან ორმხრივი კორდონი, ან თავისუფალი.

ვაზის გაშენება, მისი გასხვლა-ფორმირება და მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვა, აგრეთვე, ნიადაგის დამუშავება, მისი განაყოფიერება და სხვა ოპერაციები ხორციელდება ყურძნის მწარმოებლის მიერ შერჩეული აგროტექნიკური ღონისძიებების შესაბამისად.

7. ყურძნის სიმწიფე, რთველი, ტრანსპორტირება
- „ბოლნისი“ მზადდება მხოლოდ მწიფე ყურძნისგან. ყურძნის შაქრიანობა კრეფის დროს „ბოლნისი“ თეთრის, წითელის და ქარვისფერის დასამზადებლად არ უნდა იყოს 20 %-ზე ნაკლები, ხოლო „ბოლნისი“ ვარდისფერის დასამზადებლად – 19%-ზე ნაკლები;
- ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტმასის ყუთებით, უჟანგი ფოლადისაგან დამზადებული ან სპეციალური საღებავით შეღებილი ძარებით;
- დაუშვებელია ყურძნის ტრანსპორტირებისთვის პოლიეთილენის პარკების და/ან ტომრების გამოყენება;
- ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძლო დაბინძურებისაგან.

8. ყურძნის მოსავალი და ღვინის გამოსავალი
ყურძნის მოსავალი 1 ჰექტარ ვენახზე არ უნდა აღემატებოდეს 10 ტონას;

ღვინის გამოსავალი არ უნდა აღემატებოდეს:
- 650 ლიტრს – ერთი ტონა ყურძნიდან;
- 6500 ლიტრს – ერთი ჰა ვენახიდან.

9. ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა
„ბოლნისის“ წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მოწეული უნდა იყოს მხოლოდ ბოლნისის მიკროზონაში გაშენებული ვენახებიდან.

ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ბოლნისის მიკროზონის საზღვრებში, ხოლო ჩამოსხმა დასაშვებია ამ მიკროზონის გარეთაც, საქართველოს ტერიტორიაზე.

,,ბოლნისის“ წარმოებისათვის გამოიყენება მხოლოდ საღი და ტექნიკურად მწიფე ყურძენი, რომლის დაზიანების ხარისხი არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს.

„ბოლნისი“ მზადდება ტკბილის ან დურდოს სრული ალკოჰოლური დუღილის გზით. „ბოლნისის“ წარმოებისას დასაშვებია მხოლოდ იმ ოპერაციების, მასალებისა და ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით.

10. კავშირი ღვინის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციასა და გეოგრაფიულ ადგილს შორის
კლიმატი – რაიონის კლიმატი ხასიათდება ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. ბარის დასავლეთით და სამხრეთით მდებარე საკმაოდ მოზრდილი ქედები (კეჩუტის, სანსარის და ლოქის) ანელებენ, წინააღმდეგობას უწევენ თბილი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელებას დასავლეთიდან სამხრეთისაკენ. რაც შეეხება თრიალეთის ქედს, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან საზღვრავს ამ ტერიტორიას.

ქვემო ქართლის, კერძოდ, ბოლნისის რაიონის ტერიტორია, რომელიც სამი მხრიდან მთებითაა გარემოცული, იმ ატმოსფერული პროცესების გავლენის სფეროშია მოქცეული, რომელიც ვითარდება საქართველოში, მაგრამ, ადგილობრივი პირობების გამო, ეს პროცესები განიცდიან ცვლილებებს, რითაც იქმნება განხილული ტერიტორიისათვის დამახასიათებელი თავისებური კლიმატი.

რაიონის მეტეოროლოგიური მრავალწლიანი მონაცემებით ირკვევა, რომ საშუალო წლიური ტემპერატურა 12°-ს უდრის. თებერვლის თვიდან ჰაერის საშუალო ტემპერატურა დადებითია და მარტში 5,9°-მდეა, შემდეგ თვეებში ტემპერატურა მატულობს და მაქსიმუმს ივლისში აღწევს. წელიწადის ყველაზე თბილი თვეებია ივლისი და აგვისტო, საშუალო თვიური ტემპერატურა შესაბამისად 23,6°-23,3° აღწევს. ყველაზე ცივი თვეა იანვარი. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი საშუალო ტემპერატურით მხოლოდ ეს თვე ხასიათდება (-0,3°). ყინვები მეტწილად არამდგრადია. პირველი ყინვები შემჩნეულია 12 ნოემბრიდან და მთავრდება 4 აპრილისათვის. ყინვიანი პერიოდი წელიწადში 120-144 დღეა, ხოლო უყინვო დღეთა რიცხვი განისაზღვრება 210-221 დღით.

ცხრილი

მეტ. სადგური	ჰაერის ტემპერატურა	თვეები											
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
ბოლნისი	აბსოლუტური მინიმუმი	-24	-21	-15	-5	-1	5	7	7	-1	-6	-8	-20
	აბსოლუტური მაქსიმუმი	19	22	28	32	33	36	38	39	36	37	32	24

ბოლნისის ტერიტორიაზე ნალექების წლიური რაოდენობა 700 მმ-ს შეადგენს. ნალექები ზამთრის პერიოდში უმეტესად თოვლის სახით მოდის, რომელიც ჩვეულებრივ არამდგრადია. თოვლი შეიძლება მოვიდეს დეკემბრიდან მარტის პირველ ნახევრამდე. მრავალწლიანი მონაცემებით თოვლის საბურველის საშუალო სიმაღლე 6 სმ-ია.

რაიონში საკმაოდ დაბალია აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა, რომლის დადგომა დაკავშირებულია არქტიკული მასების შემოჭრასთან, როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთიდან (იხ. ცხრილი).

საკმაოდ მაღალ მნიშვნელს აღწევს მაქსიმალური ტემპერატურა, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში (36-39°).

ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მაის-ივნისში (80-86 მმ), მინიმუმი კი დეკემბერ-იანვარში მოდის (20-25 მმ.). ცივ პერიოდში ნალექების რაოდენობა მცირეა (152-166 მმ.) და წლიური ჯამის მხოლოდ 28-29% შეადგენს, რაც ვერ უზრუნველყოფს ნიადაგის ტენის მნიშვნელოვანი მარაგის შექმნას, ხოლო გაზაფხულზე ნალექების ჯამი რამდენადმე მეტია (183-196 მმ), რაც დადებითად მოქმედებს ყურძნის ხარისხზე.

ნიადაგი (საკმაოდ რთული რელიეფი, ნიადაგწარმომქმნელი ქანების სხვადასხვაობა, კლიმატური პირობები, მცენარეული საფარის ხასიათი და ადამიანის შემოქმედება განაპირობებენ ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილის ნიადაგების მრავალფეროვნებას.

გამოკვლევებისა და არსებული მასალების გამოყენების საფუძველზე, შედგენილია ბოლნისის 1:50000 მასშტაბის ნიადაგური რუკა, სადაც ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებისა და გენეზისური მაჩვენებლების მიხედვით გამოყოფილია მთა-მდელოს, ყომრალი, ტყის ყავისფერი, შავმიწა, წაბლა (რუხი-ყავისფერი) და მდელოს ალუვიური ნიადაგები, რომლებიც ნიადაგწარმოქმნის პროცესის გამოხატულების, სისქის, მექანიკური შემადგენლობის, ეროზიულობის ხარისხისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით იყოფა ცალკეულ ქვეტიპებად, სახეებად და სახესხვაობებად.

საშუალომთიანი, მთისწინებისა და ვაკე რელიეფის

ტიპის საერთო ფონზე გამოიყოფა საკმაოდ მრავალფეროვანი მეზო და მიკრორელიეფის ფორმები, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც ნიადაგწარმოქმნის პროცესში, ისე ნიადაგების სოფლის მეურნეობაში გამოყენების საქმეში.

მდინარე მაშავერას ხეობის პირველ და მეორე ტერასებზე გამოყოფილია მდელოს ყავისფერი და მდელოს ალუვიური ნიადაგების 1212 ჰექტარი ფართობი.

მდელოს ყავისფერი ნიადაგები გავრცელებულია სოფელ რატევანის ტერიტორიაზე, მდ. მაშავერას მარჯვენა მხარეს.

მდელოს ალუვიური და ალუვიური ნიადაგები აქ გავრცელებული არიან მდ. მაშავერას და ბოლნისის წყლის სანაპიროზე ვაკე ან სუსტად დახრილი რელიეფის პირობებში.

აღნიშნული ნიადაგები პერსპექტიულია და წარმოადგენენ კარგ ნიადაგურ ფონდს მევენახეობის განვითარებისათვის. სავსებით შესაძლებელია ამ მიკრო რაიონში ვენახის გაშენებისათვის ავითვისოთ 2000 ჰა ფართობი.

ქვერაიონის ტერიტორია მოიცავს 8188 ჰა ფართობს, რომელიც ქვემო ქართლის ვაკის გაგრძელებას წარმოადგენს. ეს ნიადაგები გავრცელებულია მდინარე მაშავერას ორივე მხარეზე, უმეტესად ვაკე და სუსტად დახრილ რელიეფის პირობებში, სოფლების: ნახიდურის, ჭაპალას, სავანეთის, ქვემო არქევანის, ტალავერისა და ქ. ბოლნისის ტერიტორიაზე.

ნიადაგური რესურსი და სწორი აგროწესებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება წარმოადგენს საფუძველს საუკეთესო ხარისხის ყურძნის წარმოებისათვის.

ჩატარებული გამოკვლევებიდან გამომდინარე, მიკროზონაში წარმოდგენილი ნიადაგის მახასიათებლები ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია ღვინო „ბოლნისის" წარმოებისათვის.

ადამიანური ფაქტორი – მეცნიერულად დასაბუთებულია და ისტორიული მასალებით ცნობილია, რომ საქართველო არის ის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც ადამიანმა ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში ველური ვაზი „გააკულტურა" და „გააბინაურა", საქართველოს და, მათ შორის, ბოლნისის რეგიონს ღვინის კულტურასთან 8 000 წლიანი უწყვეტი ისტორია აკავშირებს, რაზეც მიუთითებს არქეოლოგიური (თიხის ქვევრები, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ფიალები) და ეთნოგრაფიული მასალები, წერილობითი წყაროები, ტერმინოლოგია და სიმღერები.

ძველი საქართველოს ეკონომიკაში მევენახეობა-მეღვინეობის დარგს განსაკუთრებული ადგილი ეკავა საქართველოს ერის ყოფა-ცხოვრებაში და ქონებრივ კეთილდღეობაში. მას ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საგარეო ვაჭრობაში, რადგან ქართული ღვინო უძველესი დროიდან საექსპორტო საგანს წარმოადგენდა, რასაც საფუძვლიანად აღნიშნავდა აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი თავის თხზულებათა V ტომში, საქართველოსა და, მათ შორის, ბოლნისის რეგიონში მევენახეობის ისტორიასა და ტრადიციების საკითხებზე.

უძველეს დროში მევენახეობისა და მეღვინეობის ხელოვნების მაღალ პროფესიულ დონეს გვამცნობს ბოლნისის რეგიონში არსებული ორნამენტული ხელოვნების ნიმუშები, კულტურის ძეგლები, ეთნოგრაფიული წყაროები, ლიტერატურული წყაროები, ხალხური თქმულებანი და ზნეჩვეულებანი. სწორედ ბოლნისში „არუხლოს ნასახლარზე" არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილია ყურძნის წიპწები, რომელიც ძველი წელთაღრიცხვით VI ათასწლეულს განეკუთვნება, სწორედ ბოლნისში, მის მიმდებარე ტერიტორიასა და ბორჯომშია აღმოჩენილი ძველი წელთაღრიცხვით IV-III ათასწლეულის უძველესი მარნები.

ღვინის შესანახი უძველესი თიხის ქვევრები და, მათ შორის, თერმოსის მსგავსი ორმაგკედლიანი ქვევრები, რომლებიც, სავარაუდოდ, ღვინის თერმული დამუშავებისათვის იყო განკუთვნილი და რაც თავისთავად ერთ-ერთი და უნიკალური მოვლენაა მთელს მსოფლიოში.

ივანე ჯავახიშვილი თავის თხზულებათა თორმეტ ტომეულში ხშირად მოიხსენიებს ბოლნისის რეგიონში ღვინის წარმოების, სახელწოდების, თავისებურებების, ადგილწარმოშობისა და რაოდენობის ვრცელ ინფორმაციას. კერძოდ:

- IX-X საუკუნეებში ბოლნისის მიდამოებში მდებარე ერთი მონასტრის ტიპიკონის ნაწყვეტთაგან ჩანს, რომ იქ სამონასტრო მეურნეობაში ბაბილოსაგან (ყურძნის ხეივანი) დაყენებულ ღვინოს ცალკე ჭურჭელში „საბაბილო ჭურში" ინახავდნენ. ამავე წარწერებიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს ბოლნისში თეთრი, მწვანე და შავ-წითელი ყურძენი ცალ-ცალკე იკრიფებოდა და იწურებოდა. ხოლო გიორგი მთაწმინდელის გადმოცემით ბოლნისის მიდამოებში დამზადებული ღვინოები სამ ხარისხად იყოფოდა: იყო „მსუბუქი ღვინო", იყო „საშუალო" და საუკეთესო თვისებების „უმჯობესი ღვინო", „ღვინო კეთილი".
- XIII-XIV საუკუნეებში მონღოლთა, სპარსთა და ოსმალთა სისტემატური შემოსევებისა და ომების გამო, ბოლნისის მიდამოებში მცხოვრები მოსახლეობა ან ამოწყდა ან აიყარა და გადასახლდა. სწორედ ამ პერიოდში სომხური ისტორიული ცნობებით აქ მხოლოდ საფერავი და მწვანე ყურძენი იყო გავრცელებული.
- XVII საუკუნის დასაწყისიდან ორბელიანთა საგვარეულო ანგარიშებში მითითებულია ბოლნისში ზვრების სიდიდისა და მოსავლიანობის რაოდენობა 1619 და 1620 წლებში. ამ ანგარიშებში შეტანილი ციფრებით დგინდება, რომ სოფლების: მუხრანას, ბალახაურის, შუა ბოლნისის, წუღრუღაშენის, ქვემო ბოლნისის, ჭაპალას, ფოცხვერიანის, დისველისა და ზვარეთის ყურძნის ზვრებიდან ორბელიანებმა 1619 წელს ჩამოასხეს 778 საპალნე ღვინო (1 საპალნე – 6 ფუთი, 6 ფუთი – 96 ლიტრი), ხოლო 1620 წელს – 808 საპალნე ღვინო.

ბოლნისის რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომ განვითარებას ხელი შეუწყო გერმანიის იმპერიიდან 1818 წელს ჩამოსახლებულმა შვაბმა კოლონისტებმა, რომლებსაც ვენახის გაშენება-დამუშავების და ღვინის წარმოების ტრადიციული ცოდნა არ გააჩნდათ. გულმოდგინე და შრომისმოყვარე გერმანელებმა ადგილობრივი მოსახლეობისაგან კარგად შეისწავლეს და 1565 ჰექტარზე გააშენეს მუსკატის, მალერასა და იზაბელას ჯიშები, რომლებიც ევროპიდან გამოიწერეს მეფისნაცვალ გრაფ ვორონცოვის დახმარებით. მათ, აგრეთვე, გააშენეს რქაწითელის, საფერავის, ალიგოტეს, გორულასა და სხვა საღვინე მაღალხარისხოვანი ვაზის ჯიშები, რასაც აღნიშნავს გერმანელი კოლონისტი ერნსტ ალმენდინგერი თავის წიგნში „ეკატერინენფელდი, გერმანული სოფელი კავკასიაში 1818-1941 წლებში".

ე. ალმენდინგერი თავის წიგნში აღნიშნავს, რომ XX საუკუნის დასაწყისში ეკატერინენფელდში (დღევანდელი ქ. ბოლნისი) ისე განვითარდა მევენახეობა, რომ სოფლის მოსახლეობა (814 ოჯახი) საკუთარი ძალებით ვერ ახერხებდა ასეთი დიდი რაოდენობის ყურძნის მოკრეფა-გადამუშავებას. ამიტომ დააარსეს მეღვინეთამხანაგობა „უნიონი" და 1908 წელს ააშენეს ღვინის ქარხანა თავისი უნიკალური მარნებით, სარდაფებითა და ინფრასტრუქტურით, რომელშიც აწარმოებდნენ ღვინოს, კონიაკსა და არაყს, რომლის რეალიზაციას ახდენდნენ ქალაქ თბილისში ამხანაგობის საკუთრებაში არსებულ ექვს სპეციალურ მაღაზიაში. თბილისის გარდა ღვინოები გაჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში, ხოლო მათ მიერ წარმოებული ნატურალური ღვინო სახელად „კავკასიური წითელი" ყოველწლიურად იგზავნებოდა თვით რუსეთის იმპერატორის კარზე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მეღვინეთა ამხანაგობა „უნიონში" მკვეთრად იმატა ღვინის წარმოების ტემპმა. შესაბამისად, გაიზარდა მისი ფინანსური შემოსავლები და ეს წარმოება იქცა იმ დროისათვის საქართველოში მეღვინეთა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ გაერთიანებად. XX საუკუნის 20-იან წლებში ბოლნისის ღვინის ქარხანა აწარმოებდა 32-35 ათას ტონა ყურძენს და ასხამდა მილიონობით ბოთლ ღვინოს, რომლისთვისაც ჭურჭელს ამზადებდა ბარონ ფონ კუჩენბახის მინის საწარმო, იმ დროისათვის კატერინენფელდში და მის მიმდებარე სოფლებში ერთ ჰექტარზე იკრიფებოდა 20-22 ტონა ყურძენი, რადგან ვაზის რიგთა შორის მანძილი შეადგენდა ერთ მეტრს, ხოლო 100-მეტრიან რიგში ირგვებოდა 90-95 ძირი ვაზი.

წინა საუკუნის 50-იან 70-იან წლებში მევენახეობას დიდი ადგილი დაეთმო ბოლნისის რაიონის ეკონომიკაში, გაახლდა გერმანელების მიერ გაშენებული ვაზის ზვრები, შეიქმნა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები ქ. ბოლნისში და სოფლებში: რატევანში, ქვეშში, ნახიდურში, მამხუტში, ცურტავში, სავანეთში, ჭაპალაში, ქვემო ბოლნისსა და ბოლნისში, სადაც ამ პერიოდში იწარმოებოდა 14-17 ათასი ტონა ყურძენი. ამ ყურძნისაგან დამზადებული ღვინო-მასალა, პორტვეინი, ღვინის სპირტი და ყურძნის წვენი იგზავნებოდა სსრ კავშირის სხვადასხვა რეგიონში.

დღეს ქ. ბოლნისში საკმაოდ კარგად ფუნქციონირებს გერმანელების მიერ აშენებული ღვინის ქარხანა, სადაც მზადდება მაღალხარისხოვანი ღვინის ბრენდის სპირტი, რომელიც, ძირითადად, იყიდება ევროკავშირის ქვეყნებში. მევენახეთა ამხანაგობის (კავშირი) დაარსებამდე მისი თავმჯდომარეები და ღვინის ქარხნის ხელმძღვანელები იყვნენ: ემანუელ ალმენდინგერი (1908–1918 წწ.), ერნსტ ალმენდინგერი (19818–1930 წწ.), რუდოლფ ჰუტტენლოხერი (1900–1941 წწ.), პეტრე სოხაძე (1941–1944 წწ.), ივანე კახიძე (1944–1950 წწ.), პავლე ორჯონიკიძე (1950–1952 წწ.), არჩილ კობიაშვილი (1952–1954 წწ.), დიმიტრი ჯაველიძე (1954–1964 წწ.), ნარიმან დოლიძე (1964–1972 წწ.), ჯიმშერ ყურაშვილი (1972–1975 წწ.), ბიძინა ჯაველიძე (1975–2015 წწ.), 2015 წლიდან კი ქარხანას ხელმძღვანელობს გია ლოლაძე.

ბოლნისის მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, რეგიონისთვის დამახასიათებელი კლიმატი – ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული, ატმოსფერული ნალექების ზომიერი რაოდენობა, ნიადაგების მრავალფეროვნება, რქაწითელის, ჩინურის, გორული მწვანეს, საფერავის, თავკვერის, შავკაპიტოს, ასურეთული შავის ჯიშების ამ ზონისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მახასიათებლები და მევენახეობა-მეღვინეობის ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია განაპირობებს ღვინო „ბოლნისის" განუმეორებელ, მხოლოდ ამ ღვინისათვის დამახასიათებელ ორგანოლეპტიკურ თვისებებს.

11. ეტიკეტირების განსაკუთრებული წესები

დასახელება „ბოლნისი" და აღნიშვნა „დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო" ეტიკეტზე, შეფუთვაზე, ასევე, ღვინის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით – „Bolnisi" ან „Bolnisi Wine"
Protected Designation of Origin ან/და PDO
რუსული შრიფტით – „Болниси" ან „Болнисское Вино"
Защищенное наименование места происхождения

12. აღრიცხვა და შეტყობინება

„ბოლნისის" წარმოების და შენახვის ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა და შეტყობინება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

13. ძირითადი საკონტროლო წერტილები

დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის „ბოლნისი" წარმოების პროცესის გაკონტროლების დროს მწარმოებელმა სსიპ – ღვინის ეროვნულ სააგენტოს უნდა დაუდასტუროს შემდეგი პარამეტრების შესაბამისობა:

ძირითადი საკონტროლო პუნქტები	შეფასების მეთოდები
ვენახის ადგილმდებარეობა	საკადასტრო რუკა, შემოწმება ადგილზე
ფართობი	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, კადასტრი
ვაზის ჯიში	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
კულტივირების მეთოდები	აგროტექნიკურ ღონისძიებათა რეგისტრაციის ჟურნალი, წმლობის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
მოსავლის აღება და ტრანსპორტირება	რთველის ჟურნალი
ყურძნის საჰექტრო მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის მთლიანი მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის გადამუშავების ადგილი, გადამუშავება და ღვინის დამზადება	ყურძნის მიღების ჟურნალი, ყურძნის გადამუშავების ჟურნალი, პროდუქციის ბრუნვის აღრიცხვის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები, შეტყობინებები, შემოწმება ადგილზე
ღვინის ჩამოსხმის, შეფუთვის და შენახვის ადგილი და პირობები	ჩამოსხმის ჟურნალი, მზა ნაწარმის საწყობში პროდუქციის მოძრაობის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები ღვინის წარმოების პროცესში, ჩამოსხმამდე და ჩამოსხმის შემდეგ	ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ორგანოლეპტიკური მახასიათებლები	სადეგუსტაციო კომისიის ოქმები
მიკვლევადობა	ტექნოლოგიური და ლაბორატორიული ჩანაწერები

14. წარმოების მაკონტროლებელი ორგანო

წარმოების სპეციფიკაციის დაცვასა და ადგილწარმოშობის დასახელების მართებულად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ახორციელებს სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო.

ბოლნისის მიკროზონა



მერკელის ეპოქის დასასრული: რა იქნება მერე?

რუსული გამოცემა „Собеседник“-ი ჟურნალისტ ელენე სკვარცოვას ავტორობით მასალას აქვეყნებს, სადაც გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის პოლიტიკური მოღვაწეობაა შეფასებული. ჟურნალისტი, რუსეთის წინაშე მერკელის ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად თვლის, რომ მან 2008 წელს საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანება შეაჩერა.

როგორც ცნობილია, ანგელა-დოროთი მერკელმა უკვე გამოაცხადა, რომ იგი აღარ უხელმძღვანელებს ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს (ქდკ) და არ მიიღებს მონაწილეობას კანცლერის არჩევნებში, რომელიც 2021 წელს უნდა გაიმართოს. ანგელას „ევროპელ რკინის ლედის“ უწოდებენ, იგი პირველი ქალია, რომელიც გერმანიის მეთაური გახდა და ქვეყანას 15 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა... შეიძლება ითქვას, რომ მასთან ერთად მთელი ეპოქა გვშორდება. თუმცა ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ანგელა მერკელმა 2021 წლამდე ვერ მიატანოს და კანცლერის ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იქნება ანგელას მაგივრად მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე, რომელსაც კანცლერი უნდა დაემორჩილოს, თუ არადა, იგი უნდა გადადგეს. ამას დეკემბერში გავიგებთ. პარტიის ლიდერის კანდიდატებად კი, სულ ცოტა, სამი ადამიანი მაინც არის: **ფრიდრიხ მერცი, ანეგრეტ კამპ-კარენბაუერი და არმინ ლაშეტი.**

როგორც პოლიტოლოგი ალექსანდრე რარი ამბობს, ფრიდრიხ მერცი ეკონომიკური წრეებიდანაა და ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული აშშ-ის საქმიან ბიზნესთან. არაა გამორიცხული, რომ მისი სავარაუდო ლიდერობის დროს რუსეთ-გერმანიის ეკონომიკური ურთიერთობა აეწყობა. ანეგრეტ კამპ-კარენბაუერი ანგელა მერკელზე უფრო რბილი პიროვნებაა და შეიძლება ითქვას, თუ იგი პარტიის ლიდერი გახდება, ანგელა მერკელი კანცლერად 2021 წლამდე დარჩება, თუ, რა თქმა უნდა, რაღაც ექსტრაორდინარული არ მოხდა. რაც შეეხება არმინ ლაშეტს, იგი ამჟამად ჩრდილოეთ რეინ - ვესტფალიის პრემიერ-მინისტრია და იგი რუსეთისადმი დიდ სიმპათიებს ამჟღავნებს. თუ იგი ქდკ-ს თავმჯდომარე იქნება, გაჩნდება შანსი რუსეთ-გერმანიის ურთიერთობა გაუმჯობესდეს.

თუმცა, ყველა შემთხვევაში, მოსკოვ-ბერლინის ურთიერთობა ისეთი აღარ იქნება, როგორც გერჰარდ შრედერის კანცლერობის ეპოქაში იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ გერმანია კვლავ ევროპულ კონსენსუსს დაიცავს, ბერლინი ყურადღებას მიაქცევს ბალტიისპირელების, შვედების, პოლონელების და მეტ-ნაკლებად — ბრიტანელების პოზიციებს (ლონდონს კი მკვეთრად ნეგატიური პოზიცია აქვს რუსეთის მიმართ).

ანგელა მერკელმა რუსეთისათვის სამი პოზიტიური რამ გააკეთა:

პირველი — მან 2008 წელს ნატოს გაფართოება შეაჩერა საქართველოთი და უკრაინით. სხვათა შორის, ანგელა მერკელის ეს დამსახურება რუსეთში ცოტას თუ ახსოვს. არადა, სწორედ იგი უპირისპირდებოდა მტკიცედ ამ საკითხში აშშ-ის იმდროინდელ ხელმძღვანელობას. ანგელა მერკელმა მტკიცედ უთხრა ჯორჯ ბუშს: „უკრაინა და საქართველო ნატოში არ იქნებიან. უკიდურეს შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც“. ამით მან ნამდვილად ისტორიული როლი შეასრულა.

მეორე — ანგელა მერკელი ძველებურად მხარს უჭერს გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადს“ და ენერგეტიკულ ალიანსს რუსეთსა და ევროპას შორის. ამ საკითხში იგი მტკიცედ დგას თავისი წინამორბედების პოზიციებზე (ჰელმუტ კოლი, გერჰარდ შრედერი). არადა, მასზე საშინელი ზეწოლა ხდება — აშშ-დან, იტალიიდან, პოლონელებისგან, ბალტიისპირელებისგან. ბევრ სახელმწიფოს უნდა, რომ გერმანიამ რუსეთთან ენერგეტიკული კავშირი დაარღვიოს.

მესამე - ანგელა მერკელმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში სიტუაციის დამშვიდების მიზნით. გერმანია და საფრანგეთი რომ არ ჩარეულიყვნენ და ვლადიმერ პუტინთან და პეტრო პოროშენკოსთან ერთად ნორმანდიის ფორმატი რომ არ შეექმნათ, ამერიკა, ალბათ, უკრაინას ლეტალური იარაღით გაავსებდა და კიევს მოსკოვთან ომისაკენ უბიძგებდა. ანგელა მერკელმა ეს საფრთხე კარგად გაიგო და პროცესი შეაჩერა.

სერბეთი უარზეა!

სერბეთის ეკლესიამ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებაზე უარი განაცხადა. ამის შესახებ, რუსული მედიის ინფორმაციით, სერბეთის ეკლესიის იერარქების სხდომის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი.

ამასთან, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდი გამოვიდა ინიციატივით, ჩატარდეს სრულიად მართლმადიდებელთა კრება უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადასაჭრელად.

„წმინდა სინოდი მწუხარებით ახდენს იმის კონსტატირებას, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს კანონიკურად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო, მოახდინა რა უკრაინის ორი არაკანონიკური ჯგუფის ლიდერების — ფილარეტისა და მაკარის რეაბილიტაციისა და აღიარების თაობაზე. ამის გამო სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა გადაწყვიტა, მსოფლიო საპატრიარქოს ხსენებული გადაწყვეტილება შესრულებისთვის არასავალდებულოდ ცნოს და სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია კიევურ ეკლესიებთან კანონიკურ ურთიერთობაში შესვლას არ აპირებს. ვთავაზობთ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსა და ყველა დანარჩენ მცირე ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, რაც შეიძლება მოკლე დროში განიხილონ საკითხი სრულიად მართლმადიდებელთა საბჭოს მოწვევის შესახებ, რათა დავადასტუროთ და განვამტკიცოთ ჩვენი ერთობა და ერთიანობა“, — ნათქვამია რუსული მედიის ინფორმაციით სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის განცხადებაში.

დიპლომატიური „ინტრიგები“: რატომ გადაიტანა ნორვეგიამ თავისი საელჩო ბაქოდან თბილისში

როგორც ცნობილია, ნორვეგიამ გადაწყვიტა საელჩოს დახურვა ბაქოში (აზერბაიჯანში) და მისი ფუნქციები ანკარაში (თურქეთში) მდებარე საელჩოს დააკისრა. ბაქოში რჩება ნორვეგიის სამეფოს გენერალური საკონსულო. იმავდროულად გამოცხადდა, რომ ნორვეგია თავის საელჩოს გახსნის თბილისში (საქართველოში) — სკანდინავიის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრის ინე-მარი ერიქსენ-სორეიდეს თქმით, „საქართველო ჩვენი მთავარი პარტნიორია სამხრეთ კავკასიაში და შესაბამისად, თბილისში გახსნილი დიპლომატიური წარმომადგენლობა შესაძლებლობას მოგვცემს, უკეთესად დავაკვირდეთ მთელ რეგიონში მიმდინარე მოვლენებსო“.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის განყოფილების უფროსის მოადგილემ ჰიქმეთ გაჯიევმა კომენტარი გაუკეთა სიტუაციას და თქვა, რომ ამ საკითხის მიმართ განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება საჭირო არ არის იმდენად, რამდენადაც ყოველი სახელმწიფო თვითონ აყალიბებს თავის საგარეო პოლიტიკას და თვითონ წყვეტს — სად, რომელ ქვეყანაში გახსნას თუ არ გახსნას თავისი დიპლომატიური თუ სხვა სახის წარმომადგენლობა გარკვეული სტატუსით. „ბაქოში არსებული ნორვეგიის საელჩოს მოქმედების შეწყვეტა ამ ქვეყნის მთავრობის პრეროგატივაა. ეს რიგითი შემთხვევაა და ჩვენში არანაირ წყენას თუ მწუხარებას არ იწვევს“.

ჰიქმეთ გაჯიევმა აღნიშნა, რომ ნორვეგიის საელჩო ბაქოში 1998 წელს დაარსდა და იმ დროს მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ნორვეგიული ნავთობკომპანია Statoil-ის მუშაობის გაიოლება და მისი ბიზნეს-ინტერესების ხელის შეწყობა. „აზერბაიჯანს ოსლოში (ნორვეგია) თავისი საელჩო არ გაუხსნია. იქ შეთავსებით აკრედიტებული იყო შვედეთში აზერბაიჯანის ელჩი“, — განმარტა ჰიქმეთ გაჯიევმა და იქვე დაამატა, რომ ამჟამად აზერბაიჯანში მოქმედებს მსოფლიოს 65 ქვეყნის დიპლომატიური და 20 საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენლობა, აგრეთვე 4 გენსაკონსულო და 12 საპატიო კონსული. **„ბაქოში მოქმედი საელჩოებიდან 25 ევროპული ქვეყნისაა... ჩვენი მხრიდან კი უცხოეთის ქვეყნებში 70 საელჩო და 9 გენსაკონსულოა გახსნილი, გვყავს 14 საპატიო კონსული და 5 წარმომადგენელი საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ჩვენი 30 საელჩო ევროპაშია“.**

ჰიქმეთ გაჯიევმა ასევე კომენტარი გაუკეთა ბაქოში არსებული ნორვეგიის საელჩოს ანტიაზერბაიჯანულ საქმიანობას და ჟურნალისტებთან ისაუბრა რამდენიმე წლის წინ ნორვეგიის ელჩის სტეინარ ჰილის „პერსონა ნონ-გრატად“ გამოცხადების ფაქტზე, რომელიც უხეშად ერეოდა აზერბაიჯანის საშინაო საქმეებში.

ნორვეგიის საელჩოს ბაქოდან თბილისში გადატანის ფაქტს აზერბაიჯანული პრესა აქტიურად ეხმაურება. გაზეთ „ზერკალო“-ში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „საელჩოს დახურვა ნორვეგიული კაპიტალისა და ტურისტების საქართველოში გადანაცვლებას გამოიწვევს“. ბაქოელი ექსპერტების აზრით, ეს ფაქტი საწყენია, რადგან რეგიონული ცენტრი საქართველოსკენ ინაცვლებს.

ექსპერტ-ეკონომისტის ნატიგ ჯაფარლის აზრით, ნორვეგიის სამეფოს მთავრობის გადაწყვეტილება დიპლომატიური წარმომადგენლობის ბაქოდან თბილისში გადატანის თაობაზე შემთხვევითი არაა, თანაც მას საკმაოდ მნიშვნელოვანი საფუძველი აქვს:

„ბოლო 15 წლის განმავლობაში ათობით უცხოური კომპანია სწორედ თბილისს ირჩევს სამოქმედოდ და უარს აცხადებს ბაქოზე (აზერბაიჯანზე), სადაც მონოპოლიზმი და კორუფციაა გაბატონებული და სამართლიანი სასამართლო სისტემა არ არსებობს. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველო რეგიონულ ბიზნეს-ცენტრად იქცა და ეს იმის მიუხედავად, რომ აზერბაიჯანს უფრო მეტი პერსპექტივა აქვს, უფრო უკეთესი გეოგრაფიული მდებარეობა და მასშტაბური ლოჯისტიკური პროექტები“, — ამბობს ექსპერტი და იქვე განმარტავს: დიდ ბიზნესს შეიძლება არ აინტერესებდეს ადამიანის უფლებების დაცვა, მაგრამ მისი საკვანძო მოთხოვნაა, ქვეყანაში არსებობდეს როგორც სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, ასევე თავისუფალი ბაზარი:

„ამ თვალსაზრისით ის არჩევანი, რომელიც ნორვეგიამ გააკეთა საელჩოს ბაქოდან თბილისში გადატანით, იმაზე მიანიშნებს, რომ ჩვენი მეზობელი სახელმწიფო უფრო მეტი უპირატესობით სარგებლობს როგორც საქმიანი, ისე პოლიტიკური მნიშვნელობით სამხრეთ კავკასიაში. მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ კომპანია Nestle-მ თავისი რეგიონული ცენტრი (ამ ფირმას 150-მილიარდიანი ბრუნვა აქვს) ბაქოდან თბილისში გადაიტანა“, — ხაზს უსვამს აზერბაიჯანელი ექსპერტი.

ამავე დროს „დემოკრატიისა და კეთილდღეობის მოძრაობის“ თავმჯდომარის გუბად იბადოღლუს აზრით, ნორვეგიის საელჩოს დახურვა უფრო მეტად აზერბაიჯანში დემოკრატიის დეფიციტით არის გამოწვეული.

„მიუხედავად იმისა, რომ საელჩო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ის უფრო აქტიური საქართველოში იყო... ეს ნიშნავს, რომ ნორვეგიის მთავრობა ეკონომიკურ ინტერესებზე უფრო უპირატესობას დემოკრატიის ინტერესებს ანიჭებს“, — თუმცა, მისი თქმით, ბაქოში საელჩოს დახურვა ნორვეგიიდან ტურისტებისა და ინვესტორების შემცირებას გამოიწვევს.

„kaspiy“ (აზერბაიჯანი)

№ 230. ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2018 ᲬᲔᲚᲘ.

ᲒᲐᲣᲐᲗᲐᲡᲓᲔᲡ ᲑᲐᲠᲐᲥᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲠᲯᲔᲑᲐ...

ქართველი კაცის გონება რადგან ყოველდღე ბრწყინდება, მიზნად ავიღოთ სამშობლოს აყვავება და დიდება.

მკითხველისათვის ცნობილია რომ საქართველოს საამაყო შვილს, რუსთაველს დაბადების 850 წლისთავის აღსანიშნავად ვუძღვნი მოკრძალებულ საჩუქარს 850-სტრიქონიან ლექსს, რომლის 445 სტრიქონი 3 ნაწილად გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკაში“, „ასავალ-დასავალში“, „ახალ თაობაში“.

ამჟამად გთავაზობთ მე-4 ნაწილს, 110 სტრიქონს, მთლიანობაში 555-ს. დარჩენილს კი უახლოეს ხანში შემოგთავაზებთ.

დედამიწა მოვიარე, ჭარბად ვიხილე ერთობა,
ვცან ერთი ჭირი ამქვეყნად, მომრავლებულა მხეცობა,
გაგვიათასდეს სიქველე, მოთმინება და მხნეობა,
ვაჟკაცობა და ზრდილობა, ამასთან ერთად ზნეობა.

ღმერთო, ღმერთო, დიდებულო, ვაზებს კვირტი დააყარე,
ვაჟს და გოგოს საქორწილოდ მორჩი ნორჩი ამოჰყარე,
და ვენახის აყვავება ამდაგვარად დაამყარე,
ყველა ქართველს ჩვენს მიწაზე თავი ერთად მოუყარე.

გულსა სევდა რომ ედება, მივდივარ და ვენახს ვნახავ,
გადამიყრის ყველა დარდსა, ვაზებს როცა დავინახავ,
მე გონებას ახალ აზრებს უდარდელად დავუსახავ,
და ვენახსაც დავიფიცავ, რადგან მასაც წმინდად ვსახავ.

წითელ-ყვითელი მტევნები ბარაქა არის ზვრებისა,
ნაამაგარი ჯაფისა და გაწეული წელისა,
ზათქი ზვრებიდან რომ ისმის, ჰანგები არის რთველისა,
რთველი კი მეზვრის დღეობა და ჟამი სიხარულისა.

ვაზი რომ ალამაზდება, ვითა აკვანი ჩვილითა,
შრომის შედეგი ფასდება ბარაქიანი რთველითა,
მეზვრე ვაზებსა გასცქერის აღტაცებული მზერითა,
და ადღეგრძელებს ჭირ-ნახულს სავსე გულით და ლხენითა.

ერი ისე მრავლდებოდეს, აკვნის რწევა ჰიმნს გალობდეს,
ქართველ კაცსა ვერვინ ჯობდეს, საარაკოდა მხნეობდეს,
კერა ტკბილად იქმნებოდეს, ეზო-კარი მშვენდებოდეს,
და საამაყო ქართველი ქართულ მიწაზე ზეობდეს.

წინაპრები მოვიგონოთ, ვინაც ჭირი ბევრი ნახა,
ვინც სამშობლო სათაყვანო მხოლოდ ბრძოლით შეგვინახა,
საქართველოს სიყვარული მტერს რომ ცხადად დაანახა,
და დიდ პაპათა ნატერფალი დღემდის შემოგვინახა.

სვეტიცხოველს დავილოცე, თან შევთხოვე წადილი:
(იქ ვინახულე დობილი, მოსხმული ჰქონდა მანდილი)
არა სწადდეს არავისსა ღალატი და სიძულვილი,
ღმერთსა ვთხოვ, მეცა შემინდოს,
იქნებ მეცა ვარ ცოდვილი.

თვალის ჩინია ვენახი, მისი ძლიერი ფესვები,
აქეთ და იქით ვაზები, თან დაბროწილი მტევნები,
ჯაფის გაძლებით განთქმული მევენახისა მკლავები.
მავანთა გულგასატეხად, ავამოქმედოთ თავები.

სიძემ რთველში დამპატიჟა, ქოხი ვნახე დასახური,
სიჩაუქე ბევრი იყო, ბევრიც კიდევ მამაცური,
სმა-პურობა რომ დაიწყო, ღვინო მასვეს მე კახური,
ვაშა არის სამშობლსთვის კაცის კაი სამსახური.

საქართველოს ალამაზებს ყველა კუთხე დიდებული,
აქეთ მთა, იქით ველი ლამაზი და ჩინებული,
მარანს ღვინო, ვენახს ვაზი, ჯიშები მირონცხებული,
წუთისოფლის ათინათი ყურძენში გაბრწყინებული.

ვაზო, რა ხარ ამისთანა, როგორ ისხამ ასეთ მტევნებს,
ბევრჯერა ხარ სააკვანე, რაცა ლხინსა ალამაზებს,
ხანაც ზოგჯერ მგლოვიარე, ჭირის სუფრას რომ ამხნევებს,
ღვინო შვებაა კაცისა, სულს აძლიერებს, გვამშვენებს.

უფალს ვენუკვი ერისთვის, ყველა ქართველის გულისთვის
წუთისოფლის გზა და კვალი ერგოს ყველას ლხინისათვის,
რომ არავინ „დაიღალოს“ ჩვენი ქვეყნის მტრობისათვის
და სიცოცხლე გაილეწოს სამსახურად ქვეყნისათვის.

ბოროტის სული ზიზღშია, მიზეზებს ეძებს დავისა,
მოტრფიალეა შურისა, ავის, უის და ვაისა,
ის მარტო მიწას ამძიმებს, თავი არა აქვს რამისა,
მომჯობინება კაია ყველა საქმისა კაისა.

გული მითხრობს – ღმერთსა სთხოვე ჩვენი ქვეყნის
გულისათვის
ეს ლექსი ყველგან მივიდეს სათაყვანებლად მოყვრისთვის,
ერმა და ბერმა იღვაწოს ხვალის უკეთეს წყობისთვის,
რომ საქართველომ ილხინოს დედამიწაზე ყოფნისთვის.

ცრემლიანია სამშობლო, ვერ გამთლიანდა დღემდისა,
სჯობს, აღვადგინოთ კანონი აღმაშენებლის წლებისა,
„ღირსეულთ ამაღლებისა უღირსთა დამდაბლებისა“
ვცან სიყვარული მამულის, მისი უკვდავი მხრებისა.

ვით ნორჩი ყლორტი ვაზისა ჩაეჭიდება ჭიგოსა,
ერი მისებრად ეკვრება „ვეფხისტყაოსანს“ ჩაწნულსა,
მტერიც რომ ამას აკეთებს და აღიარებს ამ წნულსა,
ცოცხლად მიტომაც გიცქერით დღესაც ფიქრებში
გართულსა.

აქ შენ გიხმობ, დიდო ბრძენო, მგოსანო და
მჭევრმეტყველო,
უნდა აგვყვე, არ დავეცეთ, ფონს გავიდეთ რუსთაველო,
– სასიკეთოს კვლავაც დავძენ, ჩემო ერო, ბრძენმეტყველო –
ედემის ბაღს დავამსგავსოთ საყვარელი საქართველო.

ედემს მართლა რომ ემსგავსოს ხვალ სამშობლო
ძირისძველი,
განადიდეთ კაცის ნიჭი, გონი, აზრი საკვირველი,
დაამკვიდრეთ ერთგულება წინაპრული უძლეველი,
ჩემი სიტყვა, დღეს ნათქვამი, იყოს ქვეყნის მუხლ პირველი.

მეტსაც გეტყვით, ვით ყველა ბავშვს – ნიკოლოზს,
ნინოს, თომასა...
ოცნებაში აქვს, მისდიოს სხვადასხვა საქმის წვდომასა,
მეცა ვნატრობდი რუსთველი მგოსნობასა და ამასა:
„მომეცეს ფრთები, ავფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა“.

აწ, ასრულდა ეს წადილი – „ლითონის ჩიტშიც“ ჩავჯექი,
გავინავარდე ცაშია, იყო ზაფხულის დამდეგი,
ჩვენი სამშობლოს ყოფისთვის ქვეყნის დარაჯად დავდექი.
საზღვრების გადასაწევად ვიყავი რკინის გამდრეკი.

მე ბასიანშიც ვიდექი, როცა იბრძოდა თამარი,
სახელოვანი სარდლობა სამშობლოს ოქროს ქამარი,
ლეგენდებითაც დავბრუნდით, დიდ საქართველოს ლაშქარი,
მტრისთვის რაც იყო სიმწარე და არა ტკბილი სიზმარი.

გმირულ წარსულის ქვეყანა მაშ დაკნინების ღირსია?!
მიზეზი მხოლოდ ისაა, ერთგულებაში ფარსია,
ბევრისთვის წამ-წამ ღრეობა მისი სიცოცხლის არსია,
ზოგისთვის კიდევ სამშობლო ცხოვრების შინაარსია.

გავერთიანდეთ, დავიწყოთ აღორძინება ოცნებით,
მხოლოდ და მხოლოდ დევიზით – „ბრწყინვალ
გიორგის მიზნებით“,
დიდი ილიას აზრებით, მისი სიბრძნით და გონებით,
ქვეყნის წინსვლა ვცან გეგმებით, სიახლეების მიგნებით,

ბრძნული აზრები მოვიხმოთ ნაცადი დავითიანი,
ავაღორძინოთ სოფლები, სვიანი, ბადაგიანი,
ნიჭის წყალობით გახდება ქვეყანა ბარაქიანი,
სამოთხის ბაღად იქცევა ქართული მიწა მთლიანი.

გმირ წინაპართა ბილიკზე ერი რომ მუდამ ნათობდეს,
და მომავალი სულ მუდამ მათ ნამოღვაწარს ამკობდეს,
ქმედება გვინდა იმგვარი, მზისდაგვარადა დარობდეს,
და ქვეყნის მთავარსარდალი სამაგალითოდ სარდლობდეს.

ღმერთო, ღმერთო, გევედრები, სიბოროტე ყველას სძულდეს,
ავსა სისხლი დაუწმინდდეს, რომ სიავე დაუძლურდეს,
ქველსა დარდი შენ მოაკელ, რომ სიცოცხლე გაუგრძელდეს,
კაცსა კაი რაცა სურდეს, საწადელი აუსრულდეს.

რუსთაველო, ქართველებსა თავი ერთად მოუყარე,
სიყვარულის საძირკველი სამუდამოდ ჩაგვიყარე,
ერთგულება ყველა მხარეს ძველებურად დაამყარე,
და უბადლო ქართველობა ჩვენს მიწაზე გაამყარე.

ჩემი ფიქრები შენ გიცქერს, ჯერ კიდევ არა ჩერდება,
რადგან იდეა მყარდება, მოძღვნილსა შეეფარდება,
ეს ლექსი ვიცი, გამყვება, არასდროს დამბერდება,
გაუათასდეს ბარაქა, ვინც სიკეთისთვის ირჯება.

რუსთაველისა სიტყვები მთელ დედამიწას უხდება,
მისი მკითხველი ნათლდება, აფორიზმებით მშვენდება,
ქართველი კაცის გონება რადგან ყოველდღე ბრწყინდება,
მიზნად ავიღოთ სამშობლოს აყვავება და დიდება.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲥᲕᲚᲘᲕᲘᲫᲔ
ტ. 599104318

ᲚᲝᲡ-ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲕᲠᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ᲥᲕᲔᲕᲠᲘᲡ ღვინის მწარმოებელი ქართული კომპანიები აშშ-ში, ქალაქ ლოს-ანჯელესში ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW Wine“ მონაწილეობდნენ. გამოფენის ორგანიზატორია ცნობილი ღვინის ექსპერტი იზაბელ ლეჟერონი (საფრანგეთი). „RAW Wine“ ლოს-ანჯელესში მეორედ იმართება და მასში 100-ზე მეტი მწარმოებელი მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. გამოფენაზე ქართული ღვინო შარშანაც იყო წარმოდგენილი.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, წელს გამოფენაში მონაწილეობდნენ: „გოცას საოჯახო მეღვინეობა“, „ტიბაანი“, „მეღვინეობა ართანა“, „ღვინის ქურდები“, „ახმეტის ღვინის სახლი“ და „ნიკალას მარანი“. გამოფენაზე მოსულ სტუმრებს საშუალება მიეცათ, დაეგემოვნებინათ ქართული ქვევრის ღვინო, გაცნობოდნენ მისი დამზადების უძველეს ტრადიციებს, ქვეყნის კულტურას და ისტორიას. აღნიშნული კომპანიები ასევე მონაწილეობდნენ ნოემბრის დასაწყისში ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ ამავე ფორმატის გამოფენაზე „RAW Wine NY“.

„RAW Wine“ ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ, სადაც მაღალი ხარისხის ბუნებრივი და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან.

მიმდინარე წლის 10 თვის მონაცემებით საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 400 ათასამდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 1%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.



◎ სუმო

უკვე – დადებით ბალანსზე

ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ, რომელსაც ტოჩინოშინის შიკონათი ვიცნობთ, ფუკუოკაში მიმდინარე ნოემბრის სუპერტურნირზე მე-2 გამარჯვება იზეიმა.

კიუშიუ ბაშოს მე-3 დღეს დასავლეთის მე-2 ოძეკის წოდების მქონე ქართველი გოლიათი აღმოსავლეთის პირველ მაეგაშირა მიოგირიუს გაეჯიბრა და არცთუ იოლ ჭიდილში ჰატაკიკომით დაჯაბნა.

ამგვარად, პირველად მიმდინარე შეჯიბრზე ტოჩინოშინი დადებით ბალანსზე გავიდა და იმედია წარმატებულ სვლას განაგრძობს, მითუმეტეს, რომ ჩვენებურს „იმპერატორის თასის“ მოპოვების ლამის იდეალური შანსი გააჩნია.

შეგახსენებთ, რომ კიუშიუ ბაშოზე ტრავმის გამო 2 მონღოლი იოკოძუნა – ჰაკუჰო და კაკურიუ ვერ ასპარეზობს, იაპონელი იოკოძუნა კისენოსატო კი ტურნირს ცუდ ფორმაში შეხვდა და 3 დღის თავზე 3 მარცხი გააჩნია (გუშინ დასავლეთის პირველ მაეგაშირა ჰოკუტოფუჯისთან ცუკიოტოშით წააგო).

ამ დროისთვის მაქსიმალური შედეგი მხოლოდ ოთხ სეკიტორს აქვს: ესენი ოძეკი ტაკაიასუ, კომუსუბი ტაკაკეიშო, აღმოსავლეთის მე-2 მაეგაშირა ტოჩიოძანი და აღმოსავლეთისვე მე-10 მაეგაშირა სადანოუმი არიან.

დღეს ტოჩინოშინს ბრაზილიელ კომუსუბი კაისეისთან დაპირისპირება ელის, რომელმაც ნოემბრის ბაშოს 2 სასტარტო დღე ტრავმის გამო გამოტოვა, გუშინ კი დოჰიოზე გამოჩნდა და ოძეკ ტაკაიასუსთან უშანსოდ – ჰატაკიკომით წააგო. ქართველი სუმოისტი ბრაზილიელს 17-ჯერ შეხვედრია და 10 ბრძოლა მოგებული აქვს.

რანგით მე-3 დივიზიონ მაკუშიტაში თანაბარ ბალანზე (1:1) გასვლა მოახერხა თეიმურაზ ჯუღელმა, იგივე გაგამარუმ. გუშინ მან ტოიოჰიბიკი იორიკირით დაჯაბნა და მასთან ურთიერთშეხვედრებში თანაფარდობა (10:10) აღადგინა.

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერი

ლიდერიც დაამარცხა

ლუკა ბულაშვილის „კულერედომ“ ესპანეთის რანგით მე-4 ლიგის (EBA) A-B ჯგუფის ლიდერ „პონფერადას“ სტუმრად 89:88 სძლია და სატურნირო ცხრილში მეორე-მეხუთე ადგილებს ინაწილებს.

ახალგაზრდა ქართველმა კალათბურთელმა ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 34 წუთში 17 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

ლუკამ 7-დან 4 ორქულიანი, 9-დან 2 სამქულიანი და 3-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 1 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 2-ჯერ დაჯარიმდნენ.

17 ნოემბერს „კულერედო“ „ჩანტადას“ უმასპინძლებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

მოტოსპორტით მოწამლული

წარმოშობით ესპანელი მოდელი დანია ესტრადა მთელს მსოფლიოში მოტოსპორტის ერთ-ერთ მთავარ ქომაგად და სახედ ითვლება, მოტოციკლების მწარმოებელი ფირმები კი ახალ „ბაიკს“ ისე არ გამოამზეურებენ, ჯერ დანიას რომ არ აცნობონ და აღმუვლებულ რკინის „ურჩხულთან“ არ აპოზიორონ.

დანია ესტრადა ბულვარული ჟურნალების ყდების ხშირი სტუმარიცაა და რა გასაკვირია, რომ იქაც მისი დიდებული მკერდ-ტან-ბარძაყნი ხშირად მოტოციკლების ფონზე ზიმზიმებენ ხოლმე, ამასწინათ კი თავადაც მიიღო მონაწილეობა მოყვარულ მოტომრბოლთა საჩვენებელ შოუში და როგორც სპორტის ამ სახეობის მოყვარულნი ამბობენ, არცთუ ცუდად გამოსულა.

რაც შეეხება საკუთრივ სამოდელო საქმეს, დანია ესტრადა უბრალოდ ვერ იცლის საპოდიუმედ და მისი დროის აბსოლუტური ნაწილი მოტოსპორტს ეძღვნება. სწორედ ამიტომაც მას სხვადასხვა ნიფხავ-პერანგის მწარმოებელ ფირმებთან კონტრაქტი არასოდეს დაუდია და აშკარაა, რომ არც აპირებს.

გიორგი შოთაძე

◎ 64

ქართველებთან მეგობრობდა

მიხეილ ბოტვინიკი – მე-6 მსოფლიო ჩემპიონი (1948-57, 1958-60, 1961-63), საერთაშორისო დიდოსტატი (1950), შვიდგზის საბჭოთა კავშირის (1931-1952) ჩემპიონი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჭადრაკის თამაშს არც თუ ადრეულ ასაკში – 12 წლისა დაეუფლა.

მისი ანალიტიკური მიდგომა ჭადრაკისადმი საფუძვლად დაედო საბჭოთა საჭადრაკო სკოლის განვითარებას. იგი სამართლიანად ითვლება საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ფუძემდებლად.

ტალანტის გარდა, დიდ ყურადღებას აქცევდა მოჭადრაკის სპორტულ კონდიციებს, რაც განუწყვეტელ კავშირშია იმ გონებრივ დატვირთვებთან, რომელიც ჭადრაკს ახასიათებს.

„ბოტვინიკს აქვს შესაძლებლობა, რომ უახლოეს წლებში გახდეს მსოფლიო ჩემპიონი. იგი ფლობს ისეთ ძვირფას თვისებებს, რაც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს წარმატების მიღწევაში – გაბედულება, ტაქტიკური ხედვა, ინტუიცია“ – ამბობდა ალექსანდრ ალიოხინი.

„ავრო“ ტურნირში ბოტვინიკმა დაამარცხა (1938) ალიოხინი და კაპაბლანკა, რითაც მსოფლიო ჩემპიონთან პაექრობის უფლება მოიპოვა. ალიოხინმა მიიღო მისი წინადადება, მაგრამ 1939-45 წლების მეორე მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა მათ შეხვედრას.

1945 წელს ალიოხინ-ბოტვინიკის მატჩი არ შედგა ალიოხინის მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

ბოტვინიკს შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ქართული საეტიუდო ხელოვნების გამოჩენილ დიდოსტატებთან, განსაკუთრებით კი ბ-ნ გია ნადარეიშვილთან. იგი თავის ნაშრომებში აღნიშნავს, თუ როგორ ეხმარებოდა პრაქტიკულ საქმიანობაში ქართველი დიდოსტატის საეტიუდო ნაწარმოებები.

1981 წლის „ხავერდოვან სეზონზე“ ქობულეთში, სანატორიუმ „ივერიაში“, სადაც ბ-ნი გია და ბ-ნი მიხეილი მუშაობდნენ წიგნზე „ეტიუდი დიდოსტატების თვალით“; ჩემს ძმასთან, პროფესორ გურამ შენგელიასთან ერთად გვქონდა ბედნიერება ახლოს გავცნობოდით ლეგენდარულ მოჭადრაკეს.

საუზმისწინა ერთსაათიანი შეხვედრისას ბ-ნ მიხეილს შევახსენე კაპაბლანკასთან 1938 წელს როტერდამში ნათამაშევი პარტია, რომელმაც მაშინ მსოფლიო პრესა მოიარა.

– მიხეილ მოისეევიჩ, ღმერთივით ითამაშეთ! – ვერ დავფარე აღტაცება.

– თქვენ ჭადრაკის ღმერთი ბრძანდებით, – დაამატა ჩემს ნათქვამს გურამმა.

– ღმერთი თუ ვარ, ნიკოლაევიჩ, დაწერე ბრძანება წვიმის გადაღების და მზის ამოსვლის შესახებ, – ღიმილით წარმოთქვა ბოტვინიკმა.

ბ-ნი მიხეილი გურამს გარეგნობით უახლოეს მეგობარს, იუგოსლავ დიდოსტატ სვეტოზარ გლიგორიჩს ადარებდა. „თითქოს მასთან ვსეირნობო“ – იტყოდა ხოლმე.

საუზმისწინა სეირნობისას, როგორც კიბის მოაჯირთან შეგულებულ ადგილს მივუახლოვდებოდით, მთელი სხეულით მკლავებზე აიზიდებოდა და მართკუთხედს „იჭერდა!“ თქვენც სცადეთო, გვეტყოდა.

ბოტვინიკმა ტიტანურად იშრომა, რათა მანქანისათვის მსოფლიოში პირველს „ესწავლებინა“ ჭადრაკის თამაში.

1960 წელს მიხეილ ტალთან წაგების შემდეგ 50 წლის ბოტვინიკმა გადაწყვიტა უარი ეთქვა მატჩ-რევანშზე. სწორედ ამ დროს მისი მეგობრის – ბ-ნ გია ნადარეიშვილის დაჟინებული თხოვნით და მხარდაჭერით „ძველი გვარდიის“ ლეგენდარულმა მოჭადრაკემ მიიღო გადაწყვეტილება დათანხმებოდა მატჩ-რევანშს.

ვინ იფიქრებდა, რომ 1961 წელს 50 წლის ბოტვინიკი დაიბრუნებდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს (13:8).

ეს „რკინის ბოტვინიკმა“ შეძლო – ლოგიკამ რევანში აიღო ფანტაზიაზე.

ბოტვინიკი – კაპაბლანკა
1938 – როტერდამი
(ნიდერლანდები)



30. კa3 ლ:a3 31.ჟh5+ gh 32.ლg5+ ჟg8
33. ლ:f6+ ჟg8 34.e7 ლc1+ 35.ჟf2 ლc2+
36. ჟg3 ლd3+ 37.ჟh4 ლe4+ 38.ჟg3:h5 ლe2+
39. ჟg4 ლe4+ 40.g4 ლe1+ 41.ჟg5, 1:0

ბოტვინიკი – ტალი
(მატჩის 21-ე პარტია)
1961 – მოსკოვი



17. g4 b5 18. კ:g7 ჟg:g7 19. კh4 bc
20. კc2 h6 21. კdh1 ლg5 22. ლ:g5+ hg
23. კh6 fg 24. fg კ:g4 25. კg6+ ჟg7
26. კf1 ჟge7 27. კg7+ ჟge8 28. ჟe4 ჟd7
29. ჟ:d6+ ჟgd8 30. კ:f8+ ჟ:f8 31. ჟ:c4 კd7
32. კf7 ჟgc7 33. d6+, 1:0

შენიშვნა: „ავრო“ ტურნირი – 2.27.11.38 წ. ორწრიანი შეჯიბრება (ნიდერლანდებში) მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა მონაწილეობით.

მოამზადა
თამაზ შენგელია

◎ ვერნისაჟი

ზღაპრული ფერების სამყარო

თბილისის მერიის ს. ვირსალაძის სახელობის №1 **სამხატვრო ხელოვნების სკოლამ კარგ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი.** სკოლის დირექტორმა **ქეთევან ბარნაბიშვილმა** შემოქმედებითი ურთიერთობები ჩამოაყალიბა თელავის, ქუთაისის, ერევნის, საჩხერის სამხატვრო სკოლებთან. მოსწავლეთა გაცნობა-დამეგობრება, ერთობლივი გამოფენების გამართვა კარგ შემოქმედებით-მეგობრული ურთიერთობების დამყარებისა და არსებული ისტორიული ძეგლებისა და სხვა ღირსშესანიშნაობების გაცნობის საშუალებას იძლევა. ამჯერად, თბილისში, მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ჩოხატაურის, ონისა და მასპინძელი სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. თუმცა, გამოფენის გახსნამდე, ს. ვირსალაძის სახელობის სკოლაში სტუმრებისთვის ჩატარდა პლენერი, რომელსაც წარუძღვა ამავე სკოლის კურსდამთავრებული, ამჟამად კი ამერიკაში მოღვაწე მხატვარი **ვახტანგ მუსხელიშვილი.**

ჩოხატაურის სკოლიდან გამოიფინა 33 მოსწავლის 100 ნამუშევარი. სტუმართა შორის იყვნენ სკოლის დირექტორი **მზია კვინტრაძე,** პედაგოგები; **თემურ** და **გიორგი ბერძენიშვილები.** ონის სამხატვრო სკოლის დირექტორი **ელენე მაგრაქველიძე.**

გამოფენა გახსნა სკოლის დირექტორმა ქეთევან ბარნაბიშვილმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ასეთი ერთობლივი ვერნისაჟების განსაკუთრებული მნიშვნელობა მოსწავლეთა პროფესიული, პიროვნული ჩამოყალიბებისა და მათი დაოსტატების საქმეში. ამიტომაც მისი ინიციატივით ასეთი გამოფენები მომავალშიც გაგრძელდება სხვა სკოლებთან და დაიდება თანამშრომლობის მემორანდუმები. დირექტორის მოადგილე **გუბაზ მეგრელიძემ** აღნიშნა ამ ღონისძიების უნიკალურობა, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით სრულიად ახალია სასწავლო პროცესის განვითარებისთვის. შეაფასა, რა მომავალი მხატვრების ნამუშევრები, მან წარმატება უსურვა ნორჩ მხატვრებს. სიტყვებით გამოვიდნენ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **გ. ცერცვაძე,** პედაგოგები: **თ. თავაძე, მ. კიკაჩეიშვილი, თ. თავაძე, მ. კაკაბაძე.** სტუმრებმა მოწვევისა და მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადეს გამოფენის ორგანიზატორებს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 200-მდე ნამუშევარი. დასახელებული სკოლების გარდა, მასში მონაწილეობდა თბილისის 23-ე საჯარო სკოლასთან არსებული სტუდია „პალიტრის“ ნორჩი მხატვრები, რომლებთან ერთად ერთობლივ სასწავლო პროცესს გადიან სოციალურად დაუცველი მოსწავლეებიც. ამ მრავალფეროვან გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერა, გრაფიკა, გამოყენებითი ხელოვნება, თექა, ბატიკა, ფოტოხელოვნება, რამაც გამოკვეთა მოსწავლეთა ინტერესები, ნიჭიერება და არსებულ სკოლებში კარგი სასწავლო პროცესი. სამომავლოდ დაგეგმილია საპასუხო გამოფენები რეგიონალურ საგამოფენო დარბაზებში.

მზია ნაკაშიძე

სანთელი

საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანები გურამ გვეტაძე, გიორგი ხაზარაძე, რევაზ ნაცარიშვილი, ტიტე ლეფსაია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საუკუნის ადამიანთა ასოციაციის „სავანეს“ პრეზიდენტი, ვეტერანების გულშემატკივარი

ხაჩატურ ვართანიანცი

და უთანაგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი, ასოციაცია „სავანეს“ პრეზიდენტი

ხაჩატურ ვართანიანცი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ხანძარი და მსხვერპლი

სოფელ შაქშაქეთში ხანძარს 50 წლის მამაკაცი ემსხვერპლა. საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახურის ინფორმაციით, დაიწვა ორსართულიანი სახლის სახურავი -120 მ² ფართობი.

„მეხანძრე მაშველების მიერ ხანძრის ქრობის პროცესში აღმოჩენილია 50 წლის მამაკაცის გვამი, ხანძარი ლიკვიდირებულია“, – იტყობინება საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახური.

კონტრაბანდული ოქრო გადმოჰქონდათ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა საბაჟო გამშვები პუნქტის ,,სარფის“ გავლით, საქართველოში მალულად შემოიტანა დიდი ოდენობით – 916 გრამი არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებული ოქროს ნაწარმის საბაჟო ღირებულება 51 474 ლარს შეადგენს.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ლელა დოდაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ლელა დოდაშვილი (პ/ნ 12001005156), გარდაბანი, კ. ლესელიძის ქ. №6, სართ. 6, ბინა №30.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

გარდაბანი, კ. ლესელიძის ქ. №6, სართ. 6, ბინა №30 (საკადასტრო კოდი: 81.15.07.019.01.030https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 19093.55 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 14 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 30 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP56586718;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 565867

6. **მოვალე:** ლელა დოდაშვილი (პ/ნ 12001005156), გარდაბანი, კ. ლესელიძის №6, სართ. 6, ბინა №30;
ზაზა დოდაშვილი (პ/ნ 12001005155), გარდაბანი, კ. ლესელიძის №6, სართ. 6, ბინა №30

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP56586718; ლოტის ნომერი: 565867).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 30 ნოემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თენგიზ ფეტელავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თენგიზ ფეტელავა (პ/ნ 29001002967), ფოთი, ალ. პუშკინის ქ. 69, ბინა №45.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ფოთი, ალ. პუშკინის ქ. 69, სართული 1 (საკადასტრო კოდი: 04.01.14.179.01.515https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18937.99 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 14 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 30 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP56588718;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 565887

6. **მოვალე:** ინგა ეჯიბია (პ/ნ 42001033084), ფოთი, პუშკინის ქ. 69, ბინა 45;
თენგიზ ფეტელავა (პ/ნ 29001002967), ფოთი, პუშკინის ქ. 69, ბინა 45.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP56588718; ლოტის ნომერი: 565887).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 30 ნოემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

საქმე ნუსხაშიც ყოფილა!

სწრაფად **რომ ჩაგეძინოთ, ამისთვის საჭიროა მეორე დღის გასაკეთებელი საქმეების სია ჩამოწეროთ,** — აცხადებენ ამერიკელი სომნოლოგები.

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ისინი, ვინც ასე იქცეოდა, საშუალოდ 9 წუთით უფრო ადრე იძინებდნენ, ვიდრე, ვინც ამას არ აკეთებდნენ. მკვლევარები ამას იმით ხსნიან, რომ ადამიანთა უმრავლესობას მეორე დღეს გასაკეთებელ საქმეთა ნუსხა „თავში აქვთ“, რაც მოდუნების საშუალებას არ აძლევს. სიის შედგენა კი ტვინს განტვირთავს.

მუშაობა და... გონებასისუსტე

პენსიაში **გასვლა მეხსიერების დაკარგვის პროცესს აჩქარებს. მოხალისეებზე სამოცდაათწლიანი დაკვირვების შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ როგორც კი ადამიანი მუშაობას თავს ანებებს, მასში უმალ თავის ტვინის ფუნქციის ჩახშობის პროცესი იწყება, რაც ხანდაზმულებისთვის გონების დასუსტების პირდაპირი გზაა.**

კერძოდ, პენსიონერებში ვერბალური მეხსიერების გაუარესება 38 პროცენტით უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე მათ მომუშავე თანატოლებში.

მაწონი – დილით, მაწონი – საღამოთი...

რძის **პროდუქტების მიღებაზე უარის თქმა ინტელექტს ადაბლებს. ცნობილია, რომ ინტელექტის დონე პირდაპირაა დამოკიდებული იოდის ოდენობასთან, რომელსაც ორგანიზმი საკვებთან ერთად იღებს.**

გავრცელებული აზრის საპირისპიროდ მისი მთავარი წყარო არა თევზეული, არამედ რძის პროდუქტებია, რომელთა დეფიციტი უარყოფითად მოქმედებს გონებრივ შესაძლებლობებზეც და ფარისებრი ჯირკვლის მუშაობაზეც.

სეტყვის ღრუბლების „საიდუმლო“

ბევრს, ალბათ, გასჩენია იმის ფიქრი, თუ რატომაა, რომ ყინულისგან შემდგარი ღრუბლები, რომლებიდანაც თოვლი და სეტყვა მოდის ხოლმე, თავიანთი სიმძიმის მიუხედავად, დედამიწაზე მაინც არ ცვივა?

ორი სიტყვით ამის ახსნა იმით შეიძლება, რომ წყლის წვეთები და ყინულის კრისტალები (ფიფქები), რომლებიდანაც ღრუბლები შედგება, მცირე ზომისაა. ისინი ან ჰაერის აღმავალ ნაკადებში ნარნარებენ, ანდა ძალიან ნელა ეშვებიან, ხოლო, როცა ღრუბლების ძირში უფრო თბილ გარემოში ხვდებიან, ორთქლდებიან. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წვეთები და ყინულის კრისტალები საკმაოდ დიდ ზომებს აღწევენ, ანდა როცა ჰაერის აღმავალი ჭავლი სუსტდება, ისინი დედამიწაზე წვიმად იღვრებიან, ან თოვლად, ან სეტყვად ცვივიან.

ისევ გულს უფრთხილდით!

გრიპი **გულის შეტევის რისკს ექვსჯერ ზრდის, — ეს დასკვნა კანადელმა ექსპერტებმა იმ 20 ათასი კაცის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოიტანეს, ვისაც ეს დიაგნოზი დაუსვეს.**

აღმოჩნდა, რომ მათგან წლის განმავლობაში გულის შეტევისა და მიოკარდის მწვავე ინფარქტის გამო საავადმყოფოში 322 კაცი მოხვდა. საგულისხმოა, რომ მანამდე არც ერთი მათგანი გულთან დაკავშირებულ პრობლემებს არ უჩიოდა.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

დააკავეს „მონათმფლობელები“

ოდესაში **საქართველოს მოქალაქე საკუთარ საწარმოში 100-მდე ადამიანს იძულებით ამუშავებდა.** უკრაინაში, ოდესის რეგიონში პოლიციამ ადამიანების ექსპლუატაციის ბრალდებით კრიმინალური დაჯგუფების 13 წევრი დააკავა, რომლებიც 94 ადამიანს სოფლის მეურნეობის საწარმოში უფასოდ ამუშავებდა. ამის შესახებ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

„ცოლ-ქმარმა, საქართველოს მოქალაქე 38 წლის კაცმა და ამავე ასაკის უკრაინის მოქალაქე ქალმა, ოდესის ოლქში სოფლის მეურნეობის საწარმო შექმნეს, რომელშიც წლების განმავლობაში 100-მდე ადამიანს უფასოდ ამუშავებდნენ“, — დაწერა უკრაინის ნაციონალური პოლიციის ხელმძღვანელმა სერგეი კნიაზევმა ფეისბუქზე. გავრცელებული ინფორმაციით, ხალხი სამუშაოზე სპეციალურ „ვერბოვშიკებს“ მიჰყავდათ, რომლებიც ამ ადამიანებს ძირითადად რკინიგზაზე პოულობდნენ.

„ისინი ეძებდნენ სოციალურად დაუცველ ადამიანებს, ჰპირდებოდნენ სამუშაოებს, სტაბილურ ხელფასს 450-500 გრივნას ოდენობით, საცხოვრებელს და კვებას. მსხვერპლების ძებნის გეოგრაფიული არეალი 22 ოლქს და კიევს მოიცავდა. თითოეული „მონის“ მიყვანაში „ვერბოვშიკები“ 500 გრივნას იღებდნენ“, — ნათქვამია პოლიციის მიერ გავრცელებულ შეტყობინებაში.

ადგილზე მიყვანილ ადამიანებს ტელეფონს და დოკუმენტებს ართმევდნენ და აიძულებდნენ, რომ მინდორში 13 საათი ემუშავათ, ზოგიერთ მათგანს სცემდნენ კიდეც. აღსანიშნავია, რომ კრიმინალები მაშინ დააკავეს, როდესაც მათ მიკროავტობუსში ახალი მსხვერპლები აჰყავდათ. მონობაში მყოფი პირების გათავისუფლების შემდეგ ისინი ექიმებმა შეამოწმეს, რამდენიმე მათგანს ჰოსპიტალიზირება დასჭირდა. ჩხრეკის დროს სამართალდამცველებმა ამოიღეს იარაღი, ავტომობილები და ერთი მილიონი გრივნა. დაკავებულებს 7 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება! ყურადღება!

ძვირფასო ქართველო და საქართველოსთან დამეგობრებულო უცხოელო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ კურორტ საირმეში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.

ფასი შეთანხმებით!

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
599-79-76-79; 599-36-00-35; 599-53-76-16.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7166; ევრო - 3.0602;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4900;
100 რუბლი - 4.0131; თურქული ლირა - 0.4925;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6026;
1000 სომხური დრამი - 5.5611.

ამინდი 14 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+7
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+13
თბილისი:	ღამე	+5,	დღე	+7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge

ფიქრთ გასართველად